საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის
2024 წლის
სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში

I - ბიუჯეტირება

1. ბიუჯეტის მართვის სრულყოფა

1.1 წლიური ბიუჯეტის კანონის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, მაკროეკონომიკური ანალიზის და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი, სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: მომზადებულია 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი და საქართველოს პარლამენტში წარდგენილია კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში;

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი შესაბამისობაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ ფისკალურ პარამეტრებთან.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

მესამე კვარტლის პროგრესი: „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი“ (პირველი წარდგენა), 2025-2028 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების გადამუშავებული დოკუმენტი, ბიუჯეტის კანონის პროექტის თანდართული მასალები და საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის თანმდევი კანონპროექტი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ წარედგინა საქართველოს მთავრობას კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. აღნიშნული დოკუმენტები[1] რედაქტირებად ფორმატში განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე - https://mof.ge/5757;

მეოთხე კვარტლის პროგრესი: 2024 წლის და შემდგომი საშუალოვადიანი პერიოდისთვის განახლებული მაკრო-ფისკალური პროგნოზებისა და 2024 წლის ბოლომდე სხვადასხვა მიმართულებებით არსებული საჭიროებების გათვალისწინებით მომზადდა „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და კანონმდებლობით დადგენილი წესით წარედგინა საქართველოს მთავრობას. 1,1 მილიარდ ლარზე მეტით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, ხოლო 900 მლნ ლარით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები, რომელიც მიიმართა ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, სპორტის, თავდაცვის მიმართულებებით არსებული საჭიროებების დასაფინანსებლად, ასევე ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად და სხვა.

ამასთან, გადაიხედა 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, სადაც 2024 წლის გადამუშავებულ ვარიანტთან შედარებით დამატებით 1,9 მილიარდი ლარით გაიზარდა შემოსულობები, ხოლო 2 მილიარდ ლარზე მეტით გაიზარდა გადასახდელები. „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი“ თანდართულ მასალებთან ერთად წარედგინა საქართველოს მთავრობას კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილება და 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა 2024 წლის 10 დეკემბერს. დოკუმენტები გამოქვეყნებულია საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე[2], ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე[3].

---

[2] https://matsne.gov.ge/ka/document/view/6366063; https://matsne.gov.ge/document/view/6366063?publication=0;

[3] 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილება - https://mof.ge/5677; 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი - https://mof.ge/5765

1.2 საშუალოვადიანი დაგეგმვის ეფექტურობის გაზრდა (MTEF)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, მაკროეკონომიკური ანალიზის და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: მომზადებულია 2024-2027 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი და წარდგენილია საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისთვის.

2025-2028 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების მიზნით შემუშავებულია საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომელიც განსაზღვრავს დანართების ფორმებს, რომლის მიხედვითაც მხარჯავი დაწესებულებების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) მიერ ეტაპობრივად წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროში. აღნიშნულ დანართებში გათვალისწინებულია საქართველოს, როგორც ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის მიერ ევროკომისიისთვის წარსადგენი „საშუალოვადიანი ეკონომიკური რეფორმების“ (Economic Reform Program) პროგრამის დოკუმენტის მომზადების მეთოდოლოგიის მოთხოვნები.

2025-2028 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი და გადამუშავებული ვარიანტები მომზადებულია და წარდგენილია საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისათვის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

2025-2028 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი შემუშავებულია, საქართველოს, როგორც ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის მიერ ევროკომისიისთვის წარსადგენი „საშუალოვადიანი ეკონომიკური რეფორმების“ (Economic Reform Program) პროგრამის დოკუმენტის მომზადების მეთოდოლოგიის გათვალისწინებით.

საშუალოვადიან პერიოდში მთავრობის შემოსულობებისა და გადასახდელების პროგნოზები მომზადებულია არსებული პოლიტიკის და პოლიტიკის ცვლილების შემთხვევაში და შესაბამისი ინფორმაცია ასახულია 2025-2028 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში.

წინა პერიოდის საშუალოვადიანი პარამეტრებისგან გადახრის გამომწვევი მიზეზების თაობაზე მომზადებულია ინფორმაცია და თან ახლავს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტს, რომელიც წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პირველი კვარტლის პროგრესი: 2024-2027 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტს დაემატა მუნიციპალიტეტებიდან და ავტონომიური რესპუბლიკებიდან მიღებული ინფორმაცია და მომზადდა დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი, რომელიც ინფორმაციის სახით წარედგინა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს. ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი 2024-2027 წლებისათვის (საბოლოო ვარიანტი) განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ გვერდზე.[4]

[4] https://mof.ge/5539

ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის სტატუსიდან გამომდინარე, საქართველო პირველად შეუერთდა ევროკომისიის მიერ ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნებისათვის შემუშავებული მეთოდოლოგიით საშუალოვადიანი ეკონომიკური რეფორმების პროგრამის მომზადების პროცესს და დათქმულ ვადაში (2024 წლის 15 იანვარს) ევროკომისიას წარუდგინა „ეკონომიკური რეფორმების პროგრამა“ 2024-2026 წლისათვის. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის ინსტრუმენტს კანდიდატი ქვეყნებისათვის. „ეკონომიკური რეფორმების პროგრამა“ 2024-2026 წლისათვის განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვე გვერდზე[5].

მომზადდა „2025-2028 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი და დამტკიცდა 2024 წლის 1 მარტის N62 დადგენილებით. აღნიშნული დადგენილება განსხვავებით წინა წლებისგან ითვალისწინებს, საქართველოს სამინისტროების მიერ ინფორმაციის მომზადებას მათ მიერ განსახორციელებელი შერჩეული ორი პრიორიტეტული სტრუქტურული რეფორმის განხორციელების თაობაზე, საშუალოვადიან პერიოდში (3-წლიანი), ასევე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან კოორდინაციით შესაბამისი პროგრამების/ქვეპროგრამების დაკავშირებას სამთავრობო სტრატეგიას ხედვა - 2030-თან ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (ebudget) პოლიტიკის კლასიფიკატორების მეშვეობით. აღნიშნული დადგენილება ხელმისაწვდომია, როგორც ფინანსთა სამინისტროს ვებ გვერდის[6], ასევე სსიპ საკანონმდებლო მაცნეს[7] მეშვეობით.

მეორე კვარტლის პროგრესი: კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მომზადდა ინფორმაცია 2025-2028 წლებისათვის საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ, რომელსაც თან ახლავს ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო, ოპტიმისტური და პესიმისტურის სცენარები, ასევე, ინფორმაცია ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები რედაქტირებად ფორმატში განთავსებულია (მოიცავს როგორც word-ის, ასევე excel-ის ფაილებს) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ გვერდზე[8]. -.

მესამე კვარტლის პროგრესი: მომზადდა 2025-2028 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტის პირველადი ვერსია, რომელსაც თან ახლდა საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური პროგნოზები. აღნიშნული დოკუმენტი მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე.[8]

მეოთხე კვარტლის პროგრესი: მომზადდა 2025-2028 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტის გადამუშავებული ვერსია, საშუალოვადიან მაკროეკონომიკურ პროგნოზებთან ერთად და წარედგინა საქართველოს მთავრობას როგორც 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პაკეტის ნაწილი. დოკუმენტი ასევე გამოქვეყნებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე.[8]

მომზადდა ინფორმაცია 2025-2027 წლების ეკონომიკური რეფორმების პროგრამის შესახებ ქართულად და გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე[8].

1.3 პროგრამული ბიუჯეტის გაუმჯობესების ხელშეწყობა სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე

[5] https://mof.ge/images/File/2024/Biujeti_mimartulebebi/01.03.2024/Economic_Reform_Program_2024-2026_Georgia.pdf
[6] https://mof.ge/images/File/kanonebi-brdzanebebi/04-03-2024/%E1%83%91%E1%83%93%E1%83%93%2062.pdf
[7] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/6123841?publication=0
[8] https://mof.ge/5737

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები. მუნიციპალიტეტები, დონორები)

შესრულების მაჩვენებელი: ჩატარებული ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები სამინისტროების და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისთვის დონორების მხარდაჭერით.

პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია განახლებულია სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე.

პროგრამული ბიუჯეტის დანართში ასახულია პროგრამების და ქვეპროგრამების კავშირები „პოლიტიკის კლასიფიკატორთან" (SDG, გენდერული თანასწორობა, კლიმატის ცვლილება, ადამიანური კაპიტალის მიზნები და სხვა).

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პირველი კვარტლის პროგრესი: მსოფლიო ბანკის და ევროკავშირის მხარდაჭერით მოწვეული ექსპერტების ჩართულობით და ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლობით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, სადაც განხილული იყო პროგრამული ბიუჯეტის გაუმჯობესების მიმართულებით ძირითადი პრინციპები, კავშირი პოლიტიკის დოკუმენტებსა და ბიუჯეტირებას შორის, სხვადასხვა საკითხები, რომლებიც ინტეგრირებულია საბიუჯეტო პროცესში და უნდა აისახოს პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიაში და სხვა. სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის წარმომადგენლები.

მეოთხე კვარტლის პროგრესი: 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის დანართი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პაკეტის ნაწილს, მომზადდა საქართველოს მთავრობის 1 მარტის N62 დადგენილებისა და პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიის შესაბამისად. დანართში აისახა კავშირები პოლიტიკის კლასიფიკატორებთან. დოკუმენტი გამოქვეყნებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებთან ერთად.[9]

1.4 პროგრამების ეფექტიანობის შეფასება (Spending Review)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: შერჩეული საპილოტე სამინისტროები, ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტროს აკადემია).

შესრულების მაჩვენებელი: ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ჩართულობით OECD-ის ექპერტების დახმარებით: შეხვედრების ჩატარება პროცესში ჩართულ უწყებებთან; საპილოტე რეჟიმში შერჩეული ერთი პროგრამის ეფექტიანობის შეფასების (Spending Review) მომზადება; პროცესის მარეგულირებელი ჩარჩოს პროექტის შემუშავება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ჩართულობით OECD-ის ექპერტების დახმარებით გაიმართა შეხვედრები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებთან, სადაც განხილული იყო პროგრამების ეფექტიანობის შეფასების მექანიზმების დანერგვის ეტაპები და

[9] https://mof.ge/5765

განსახორციელებელი ღონისძიებები. მომზადდა TOR, შეირჩა საპილოტე პროგრამა და მომზადდა პროგრამის ეფექტიანობის შეფასების დოკუმენტის შესავალი ნაწილი და ძირითადი აღწერილობითი ნაწილი. განხილულ იქნა პროცესის დანერგვის შესახებ საერთაშორისო გამოცდილებები და საქართველოს პრაქტიკასთან მისადაგებული კონცეფციის თაობაზე არსებული წინადადებები.

1.5 საბიუჯეტო დოკუმენტაციის ფისკალური მართვის პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მაკროეკონომიკური ანალიზის და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი, სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტში და საბიუჯეტო დოკუმენტაციაში, როგორც დასაგეგმი, ისე შესრულების შესახებ ინფორმაციაში ფისკალურ დისციპლინასთან შესაბამისობის შესახებ დეტალური განმარტებების ასახვა.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

მეორე-მეოთხე კვარტლის პროგრესი: ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტთან ერთად მომზადდა ინფორმაცია - „საშუალოვადიანი პროგნოზების შედარება და „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ ფისკალურ წესებთან შესაბამისობა“, რომელიც ასახავს ინფორმაციას სხვადასხვა პერიოდში მომზადებული საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შედარებას და გადახრების ანალიზს, ასევე აღნიშნული პროგნოზების ფარგლებში ფისკალური წესების - ბიუჯეტის დეფიციტის და მთავრობის ვალის მონაცემების შედარებას და ანალიზს. ფისკალური წესები შეესაბამება ორგანული კანონით დადგენილ ზღვრებს.

1.6 საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ერთიანი ციკლის ჩამოყალიბება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, ფისკალური რისკების მართვის დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მაკროეკონომიკური ანალიზის და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი, სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი, მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი, დონორები)

შესრულების მაჩვენებელი: მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ახალი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შეფასება ხორციელდება საინვესტიციო პროექტების შეფასების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესასრულებლად საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, მათ შორის გათვალისწინებულია პროექტების ზეგავლენა კლიმატის ცვლილების საკითხებზე და გენდერული ასპექტები.

ახალი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტები, რომლებიც ასახულია სახელმწიფო ბიუჯეტში და საშუალოვადიან ჩარჩოში შეფასებულია საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მხარჯავი დაწესებულებების და მუნიციპალიტეტების შესაბამისი თანამშრომლებისთვის ჩატარებულია ტრენინგები საერთაშორისო პარტნიორების (WB, EU), ასევე სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მხარდაჭერით.

სსიპ - საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურთან თანამშრომლობით შემუშავებულია საინვესტიციო პროექტების მართვის ელექტრონული სისტემის (ePIM) სატესტო ვერსია და არანაკლებ 3 საინვეტიციო/კაპიტალური

პროექტის წინასწარი შეფასების და საბოლოო შერჩევა განხორციელებულია ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პირველი კვარტლის პროგრესი: მსოფლიო ბანკის და ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ფარგლებში ფინანსთა სამინისტროს PIM სამუშაო ჯგუფის წევრებისთვის ჩატარდა 2-დღიანი ტრეინინგი ახალი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის გაცნობის და მიმდინარე პროექტების განხილვის მიზნით.

პროექტის ფარგლებში, სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურთან თანამშრომლობით მიმდინარეობს მუშაობა საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ელექტრონული პორტალის (E-PIM) შექმნის მიმართულებით.

მესამე კვარტლის პროგრესი: საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური დახმარების მისიის მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრები საინვესტიციო პროექტების მართვის რეფორმის შემდგომ გაგრძელებასა და გაუმჯობესების გზების განსახილველად, მათ შორის, განხილული იყო ელექტრონული სისტემის ფუნქციონალი. მომზადდა შეფასების ანგარიში და რეკომენდაციები.

ევროკავშირის დაფინანსებით და მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების ფარგლებში გაიმართა შეხვედრები უცხოელ ექსპერტებთან ელექტრონული საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემის (ePIM) სატესტო ვერსიის განხილვის მიზნით, მათ შორის, სისტემის შემდგომი დახვეწის მიზნით უკუკავშირის მისაღებად მოწვეული იყო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის და საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროებიდან წარმომადგენლები, რომლებიც ჩართულები არიან საინვესტიციო პროექტების მომზადების პროცესში.

მეოთხე კვარტლის პროგრესი: 2024 წლის განმავლობაში განხილულ პროექტებთან დაკავშირებით მომზადდა ანგარიში და გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე[10]. სამუშაო ჯგუფის მიერ განხილულ იქნა 2 მლრდ ლარზე მეტი ღირებულების 30-ზე მეტი პროექტი, მათ შორის 16 მსხვილი პროექტი, რომლის ღირებულება მეტია ან აღემატება 20 მლნ ლარს.

მსოფლიო ბანკის და საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მხარდაჭერით შეიქმნა საინვესტიციო პროექტების მართვის ელექტრონული სისტემა (ePIM). სისტემაში ინტეგრირდა პროექტის კონცეფციის ბარათისა და ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზის (ფინანსური და ეკონომიკური) ნაწილები, ასევე სამუშაო ჯგუფის მიერ განსახორციელებელი ეტაპები, მათ შორის პროექტების შეფასება მეთოდოლოგიით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად. სისტემაში გაიტესტა 3 საინვესტიციო პროექტი.

1.7 წლიური და კვარტალური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება, მაკონტროლებლის წინაშე ანგარიშვალდებულების გაძლიერება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია და წარდგენილია საქართველოს მთავრობისთვის და საქართველოს პარლამენტისთვის კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. შესრულების ანგარიში მოიცავს ფისკალური წესების შესახებ განმარტებებს, დაგეგმილ და

[10] https://mof.ge/5615

მიღწეულ მიზნებს და განმარტებებს განსხვავებების შესახებ. წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად მომზადებულია ინფორმაცია წინა წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე.

2024 წლის ბიუჯეტის კვარტალური ანგარიშები საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილია კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის არსებულ მოთხოვნებს;

6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად მომზადებულია ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების შუალედური მიმოხილვის შესახებ და წარდგენილია საქართველოს პარლამენტისთვის;

მომზადებულია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ სამოქმედო გეგმა დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნული სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაციების ანალიზი.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პირველი კვარტლის პროგრესი: კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, მომზადდა 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, რომელსაც თან დაერთო ადამიანური კაპიტალის მიზნების (Human Capital Program) 2023 წლის 12 თვის შესრულების ანგარიში, ასევე ახალი დანართი 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დოკუმენტში იდენტიფიცირებული რისკების მატერიალიზაციის ანალიზის დოკუმენტები.

სახელმწიფო ბიუჯეტის 2023 წლის წლიური შესრულების ანგარიში რედაქტირებად ფორმატში (მოიცავს, როგორც word-ის, ასევე excel-ის ფაილებს) განთავსებულია ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე[11].

მეორე და მესამე კვარტლის პროგრესი: კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, მომზადდა საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 3 თვის (https://mof.ge/5733) და 6 თვის (https://mof.ge/5751) შესრულების ანგარიშები, რომელსაც თან ახლავს დანართი ადამიანური კაპიტალის მიზნების (Human Capital Program) შესრულების მდგომარეობის შესახებ. შესრულების ანგარიშები რედაქტირებად ფორმატში (მოიცავს, როგორც word-ის, ასევე excel-ის ფაილებს) განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ გვერდზე.

6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად მომზადებულია ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების შუალედური მიმოხილვის შესახებ და წარდგენილია საქართველოს პარლამენტისთვის;

მომზადებულია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ სამოქმედო გეგმა დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნული სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაციების ანალიზი.

მეოთხე კვარტლის პროგრესი: მომზადდა 9 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში წარედგინა საქართველოს მთავრობას და საქართველოს პარლამენტს. ინფორმაცია გამოქვეყნებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე.[12]

1.8 საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

[11] https://mof.ge/5727
[12] https://mof.ge/5769

შესრულების მაჩვენებელი: ღია ბიუჯეტის კვლევის (Open Budget Survey) მიხედვით ყველა ძირითადი საბიუჯეტო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე (www.mof.ge) კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოქალაქის გზამკვლევი გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე. მომზადებულია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტის და შესრულების ანგარიშების მოკლე გზამკვლევები, რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

ბიუჯეტის მომზადების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის პლატფორმა (eBTPS.mof.ge) ფუნქციონირებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე, რომლის საშუალებით მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობის და მოქალაქეთა ჩართულობის მიმართულებით.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პირველი კვარტლის პროგრესი: USAID-ის მხარდაჭერით მიმდინარეობს მუშაობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და საზოგადოების ჩართულობის და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების მიმართულებით. დაგეგმილია ელექტრონული პორტალის (e-BTPS.mof.ge) ფუნქციონალის გაუმჯობესება და მისი სრულყოფილად დანერგვა.

მომზადდა 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშზე ბროშურა, რომელიც განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ გვერდზე[13].

მომზადდა მოკლე მიმოხილვა 2024-2027 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვერსიაზე. აღნიშნული დოკუმენტი განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ გვერდზე[14].

საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე მომზადდა მოქალაქის გზამკვლევი[15] და ბროშურა[16], რომელიც ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ გვერდის მეშვეობით.

მომზადდა სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების 2024 წლის საბიუჯეტო კალენდარი, რომელიც განთავსებულია, როგორც ქართულ[17], ასევე ინგლისურ[18] ენაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ გვერდზე.

---

[13] https://mof.ge/images/File/2023/shersulebis_angarishebi/04-04-2024/2023%20wlis%20wliuri%20broshura.pdf
[14] https://mof.ge/images/File/gzamkvlevi/2024/04-04-2024/BDD-saboloo%20broshura.pdf
[15] https://mof.ge/images/File/gzamkvlevi/2024/22-01-2024/Citizens%20Guide%202024.pdf
[16] https://mof.ge/images/File/2024_Biujeti/05-04-2024/%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%AF%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%202024.pdf
[17] https://mof.ge/sabiujeto_kalendari
[18] https://mof.ge/en/4551

მეორე და მესამე კვარტლის პროგრესი: საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 3 თვის[19] და 6 თვის[20] შესრულების ანგარიშებზე მომზადდა მოკლე ბროშურა, რომელიც განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ გვერდზე.

მეოთხე კვარტლის პროგრესი: მომზადდა გზამკვლევები 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მეორე და მესამე წარდგენის, ასევე 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე, 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებაზე, 9 თვის ბიუჯეტი შესრულების ანგარიშზე. აღნიშნული ინფორმაცია გამოქვეყნებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

მომზადდა ანგარიში „ბიუჯეტის გამჭვირვალობა და მოქალაქეთა ჩართულობა საბიუჯეტო პროცესში“, რომელიც განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე[21].

1.9 მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მუნიციპალიტეტები, დონორები)

შესრულების მაჩვენებელი: ხორციელდება მუნიციპალიტეტების ხელშეწყობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მუნიციპალიტეტებს შორის გაფორმებელი ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმით გათვალისწინებული 2024 წლის განმავლობაში განსახორციელებელი პირობების შესრულების მიზნით, საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება იმ მუნიციპალიტებთან, რომლებიც ხელმეორედ შეფასდება PEFA-ს ინდიკატორების გამოყენებით, მათი ფინანსების მართვის გაუმჯობესების მიზნით (არანაკლებ 20 მუნიციპალიტეტი).

გაანალიზებულია და შეფასებულია 2017-2018 წლებში შეფასებული არანაკლებ 15 მუნიციპალიტეტის საჯარო ფინანსების მართვა სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების (Public Expenditure and Financial Accountability Assessment at sub-national level (PEFA)) მეთოდოლოგიის მიხედვით.

პერიოდი: მარტი-დეკემბერი

მესამე და მეოთხე კვარტლის პროგრესი:

PEFA-ს ინდიკატორების გამოყენებით USAID-ის და GIZ-ის მხარდაჭერით განხორციელდა 15 მუნიციპალიტეტის შეფასება, მათ შორის გენდერულ ჭრილში (თელავი, სიღნაღი, ყვარელი, მესტია, ზუგდიდი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ასპინძა, ბოლნისი, ადიგენი, ნინოწმინდა, დედოფლისწყარო, ახალციხე, ბორჯომი, საგარეჯო).

1.10 საბიუჯეტო პროცესის მხარდაჭერა შესაბამისი კანონმდებლობის სრულყოფით

[19] https://mof.ge/images/File/2024/shesrulebis_angarishebi/27-05-2024/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%202024%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D%20%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%AF%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%203%20%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90.pdf

[20] https://mof.ge/images/File/2024/shesrulebis_angarishebi/01-08-2024/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%202024%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%AF%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%206%20%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%20(2).pdf

[21] https://mof.ge/images/File/2025_Biujeti/31-12-2024/1/eBTPS%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%202024%203012.pdf

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები მხარდაჭერილია შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

მესამე და მეოთხე კვარტლის პროგრესი: საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტთან ერთად (პირველი წარდგენა) მომზადდა თანმდევი კანონპროექტი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს გათანაბრებითი ტრანსფერის სისტემიდან დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილების სისტემაზე გადასვლის გარდამავალი პერიოდის 1 წლით გაგრძელებას 2025 წლამდე. ასევე, ცვლილების მიხედვით, კანონით განსაზღვრული დღგ-ს ზრდის შეზღუდვა აღარ გავრცელდება იმ მუნიციპალიტეტებზე, რომელთა დღგ-ს საპროგნოზო მაჩვენებელი 15,0 მლნ ლარზე ნაკლებია. ასევე, იმ მუნიციპალიტეტებს, რომლებზე ძალაში რჩება ზემოაღნიშნული შეზღუდვა, დღგ-ს მოცულობა განესაზღვრებათ არანაკლებ 15,0 მლნ ლარამდე. გარდა ამისა, საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე და ორგანიზაციების რაოდენობის და სპეციფიკის გათვალისწინებით, საბიუჯეტო კოდექსში შეტანილი ცვლილება ითვალისწინებს საჯარო სკოლებისა და სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ხაზინაზე გადმოსვლის პერიოდის გადავადებას.

1.11 სტრატეგიული/სექტორული პოლიტიკის დოკუმენტებსა და ბიუჯეტს შორის კავშირის გაძლიერება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, საფინანსო-ანალიტიკური სამსახური (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები)

შესრულების მაჩვენებელი: ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (ebudget) მხარჯავი დაწესებულებები აკავშირებენ მათ მიერ განსახორციელებელ პროგრამებს/ქვეპროგრამებს პოლიტიკის კლასიფიკატორთან/კლასიფიკატორებთან (SDG, გენდერული თანასწორობა, კლიმატის ცვლილება, ადამიანური კაპიტალის მიზნები და სხვა).

ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების დაკავშირება სამთავრობო სექტორულ სტრატეგიებთან. მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელი პროგრამები/ქვეპროგრამები დაკავშირებულია არანაკლებ ერთ სამთავრობო სტრატეგიასთან პოლიტიკის კლასიფიკატორის მეშვეობით და აღნიშნული ინფორმაცია ასახულია 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის დანართში. ამ მიზნით ჩატარებულია შეხვედრები შესაბამის უწყებებთან.

ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების დაკავშირება კლიმატის ცვლილების კლასიფიკატორთან. მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელი პროგრამები/ქვეპროგრამები დაკავშირებულია კლიმატის ცვლილების პოლიტიკის კლასიფიკატორის მეშვეობით და აღნიშნული ინფორმაცია ასახულია 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის დანართში.

ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში/ქვეპროგრამებში გენდერული ასპექტების ასახვა. ყველა სამინისტროს მიერ იდენტიფიცირებულია გენდერულად მგრძნობიარე პროგრამები/ქვეპროგრამები და დაკავშირებულია გენდერული თანასწორობის პოლიტიკის კლასიფიკატორთან, რომელიც ასახულია 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის დანართში.

საერთაშორისო პარტნიორების (UN WOMAN, WB) ჩართულობით შერჩეულია საპილოტე სამინისტროები და ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები კლიმატის ცვლილების და გენდერული ასპექტების ბიუჯეტში გათვალისწინების მიზნით.

პირველი კვარტლის პროგრესი: საქართველოს მთავრობის 2024 წლის 1 მარტის N62 დადგენილების „2025 – 2028 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ მე-3 მუხლის შესაბამისად 2025-2028 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მომზადების პროცესში, საქართველოს სამინისტროებმა, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოსთან კოორდინაციით, უნდა უზრუნველყონ მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამების/ქვეპროგრამების კავშირების იდენტიფიცირება გენდერულ ჭრილში, ხოლო საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინიტროსთან კოორდინაციით - კლიმატის ცვლილების საკითხები, ხოლო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან კოორდინაციით საქართველოს მთავრობის 2022 წლის 3 ნოემბრის N517 დადგენილებით დამტკიცებულ „ხედვა - 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგიის“ პოლიტიკის კლასიფიკატორთან კავშირების ასახვა. აღნიშნული, კავშირები 2025 წლის საბიუჯეტო განაცხადებში მხარჯავმა დაწესებულებებმა უნდა ასახონ სახელმწიფო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის (E-Budget) „პოლიტიკის კლასიფიკატორის“ მეშვეობით.

UN WOMAN ტექნიკური დახმარების ფარგლებში ფინანსთა სამინიტროს თანამშრომლებისთვის ჩატარდა 2 დღიანი ტრეინინგი, სადაც განხილული იქნა პროგრამების/ქვეპროგრამების გენდერული თანასწორობის კლასიფიკატორთან დაკავშირების (Tagging) მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპები, ასევე სტრატეგიული პოლიტიკის დოკუმენტების და ბიუჯეტირებას შორის კავშირების გაძლიერების მიზნით მიმდინარე წელს დაგეგმილი სიახლეები და რეფორმები, მათ შორის, პროგრამების/ქვეპროგრამების პოლიტიკის კლასიფიკატორებთან (SDG, გენდერული თანასწორობა, კლიმატის ცვლილება, ადამიანური კაპიტალის მიზნები და სხვა) კავშირების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული საკითხები.

მეორე კვარტლის პროგრესი: გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით ჩატარდა 2 დღიანი გასვლითი ტრენინგები პილოტ სამინისტროებთან (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო). ტრენინგი შეეხებოდა მონაცემთა შეგროვების და ანალიზის მეთოდებსა და მათ გამოყენებას პოლიტიკის ციკლში, განსაკუთრებული აქცენტით გენდერულ მონაცემებზე, მათ შორის ბიუჯეტში გენდერთან კავშირის ასახვის საკითხებს. ამასთან, ყველა სამინისტროს წარმომადგენლის მონაწილეობით ჩატარა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის კლასიფიკატორთან ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების დაკავშირების (ე.წ. Tagging) შესახებ ერთდღიანი ტრენინგები.

მეოთხე კვარტლის პროგრესი: 2025 წლის ბიუჯეტში კლიმატის ცვლილების საკითხებთან ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების დაკავშირების მიზნით მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით და კოორდინაციით კავშირები განსაზღვრულ იქნა 6 სამინისტროს 85 პროგრამა/ქვეპროგრამის შემთხვევაში, მათ შორის 29 პროგრამა და 56 ქვეპროგრამა.

პროგრამების/ქვეპროგრამების კავშირები აისახა გენდერულ თანასწორობასთან (10 სამინისტროს შემთხვევაში), ადამიანური კაპიტალის მართვასთან, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან და სხვა.

საპილოტე რეჟიმში განხორციელდა ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების დაკავშირება სამთავრობო სტრატეგია - ხედვა 2030-თან. კერძოდ, 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის დანართში ასახულია სტრატეგიის შესაბამის მიმართულებებთან 62 პროგრამის და 38 ქვეპროგრამის კავშირები.

II - მთავრობის ვალის მართვა

2.1 მთავრობის ვალის მართვის საშუალო ვადიანი სტრატეგიის განახლება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: მთავრობის ვალის მართვის საშუალოვადიანი სტრატეგიის შემუშავება 2025-2028 წლებისთვის და მისი გამოქვეყნება ფინანსთა მინისტრის 2022 წლის 26 სექტემბრის №328 ბრძანების შესაბამისად.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

მთავრობის ვალის მართვის საშუალოვადიანი სტრატეგიის 2025-2028 წლებისთვის პირველადი ვერსია შემუშავებულია, მიმდინარეობს მონაცემების განახლება 2024 წლის დეკემბრის ბოლოს მდგომარეობით. დოკუმენტის გამოქვეყნება დაგეგმილია 2025 წლის თებერვალში.

2.2 მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება

2.2.1 ვალდებულებების მართვის ოპერაციების ფარგლებში ახალი ინსტრუმენტების დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე გაცვლის (Switch) ოპერაციების გამოყენება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს ერთობლივ ბრძანებაში „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, შეტანილ იქნა ცვლილება, სახაზინო ფასიანი ქაღალდების გაცვლის ოპერაციებთან დაკავშირებით. აღნიშნული ცვლილების საფუძველზე, 2024 წელს ჩატარდა ოთხი გაცვლის ოპერაცია, რომელთა ფარგლებში განხორციელდა 150 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდების გაცვლა. იგეგმება აღნიშნული ინსტრუმენტის აქტიური გამოყენება ვალდებულებების მართვის მიზნით.

2.2.2 პირველადი დილერების საპილოტე პროგრამის გაფართოება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: პირველადი დილერების საპილოტე პროგრამაში დამატებითი სახაზინო ობლიგაციების ჩართვა, პროგრამის შეფასების შედეგების გათვალისწინებით.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

2024 წელს შემუშავდა პირველადი დილერების შეფასების ახალი მეთოდოლოგია, რის საფუძველზეც მიიღება გადაწყვეტილება პროგრამაში ახალი ვადიანობის ფასიანი ქაღალდის ჩართვის შესახებ. თებერვლიდან პროგრამაში ჩაერთო ახალი 5 წლიანი ვადიანობის მქონე ბენჩმარკ ობლიგაცია. წლის ბოლოს მდგომარეობით პროგრამაში ჩართულია ხუთი ფასიანი ქაღალდი, მათ შორის ორი აქტიური და სამი არააქტიური.

2.2.3 მთავრობის ვალის მართვის წლიური ანგარიშის მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: მთავრობის ვალის მართვის წლიური ანგარიშის მომზადება და გამოქვეყნება სამინისტროს ვებ-გვერდზე.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

2024 წელს შემუშავდა ახალი (წლიური) ანგარიში მთავრობის ვალის მართვის შესახებ, რაზეც აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა წლის განმავლობაში. დოკუმენტი გამოქვეყნებულია სამინისტროს ვებ-გვერდზე (https://mof.ge/5785).

III - აღრიცხვა და ანგარიშგება

1. დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების დანერგვა

1.1 IPSAS სტანდარტების მოთხოვნებთან და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობის მიზნით, საჯარო სექტორში აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების დახვეწა და გაუმჯობესება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების მოთხოვნების და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, განხორციელებულია შესაბამისი ცვლილებები აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

მესამე კვარტლის პროგრესი: IPSAS სტანდარტების მოთხოვნებთან და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობის მიზნით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან ერთად სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, მომზადებულ იქნა აღღიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების პროექტები, რომლებიც შენიშვნებისა და წინადადებებისათვის წარდგენილ იქნა საბიუჯეტო ორგანიზაციებში. წლის ბოლომდე განსაზღვრულია აღნიშნული ნორმატიული აქტების დამტკიცება.

მეოთხე კვარტლის პროგრესი: IPSAS სტანდარტების მოთხოვნებთან და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობის მიზნით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან ერთად სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, მომზადებულ იქნა აღღიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების პროექტები,

რომლებიც საბიუჯეტო ორგანიზაციების შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, ჩამოყალიბდა საბოლოო რედაქციით და დამტკიცდა ფინანსთა მინისტრის ბრძანებებით.

შენიშვნა: დასრულებულია

1.2 დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული IPSAS სტანდარტების დამატებით შემოღება საჯარო სექტორში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ჩატარებულია ანალიტიკა დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული IPSAS სტანდარტების დამატებით შემოსაღებლად; მომზადებულია შესაბამისი ნორმატიული აქტების ცვლილებების პროექტები და დამტკიცებულია ფინანსთა მინისტრის ბრძანებით

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

მეოთხე კვარტლის პროგრესი: საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში, ჩატარდა ანალიტიკა დამატებით ორი დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული IPSAS სტანდარტის (IPSAS 38 და IPSAS 40) შემოსაღებლად. მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტების ცვლილებების პროექტები და დამტკიცცდა ფინანსთა მინისტრის ბრძანებით

შენიშვნა: დასრულებულია

1.3 საჯარო სექტორის ბუღალტრებისთვის სამუშაო შეხვედრების, სემინარების, ტრენინგების და ა.შ გამართვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: საჯარო სექტორის ბუღალტრები გადამზადებულები არიან და პრაქტიკაში იყენებენ სამუშაო შეხვედრების, სემინარების, ტრენინგების და ა.შ ფარლებში მიღებულ ცოდნას IPSAS სტანდარტების მოთხოვნებთან დაკავშირებით

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

მესამე კვარტლის პროგრესი: საჯარო სექტორში ბუღალტერთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით, ხორციელდება ტრენინგები სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის, რაც გულისხმობს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) საფუძველზე შემუშავებული აღრიცხვის და ანგარიშგების მეთოდოლოგიის სწავლებას. გარდა ამისა, მსოფლიო ბანკის და ევროკავშირის მხარდაჭერით, PwC-ს ელექტრონული პლატფორმის - IPSAS in a box საშუალებით, სერთიფიცირდა საჯარო სექტორის 20-მდე წარმომადგენელი. სერთიფიცირების პროცესის გაგრძელება იგეგმება შემდგომ პერიოდებშიც

შენიშვნა: დასრულებულია

1.4 მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების საფუძველზე

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: სამოქმედოდ შემოღებული დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების საფუძველზე მომზადებულია მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და გამჭვირვალობისთვის გამოქვეყნებულია სახაზინო სამსახურის ვებ-გვერდზე

პერიოდი: იანვარი-ივლისი

მესამე კვარტლის პროგრესი: საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების მიზნით, სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების საფუძველზე სახელმწიფო ხაზინის მიერ მომზადდა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების 2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების და მუნიციპალიტეტების მიერ - ავტონომიური რესპუბლიკების და მუნიციპალიტეტების 2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები, რომლებიც ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, გამოქვეყნდა სახელმწიფო ხაზინის ვებ-გვერდზე http://www.treasury.ge.

შენიშვნა: დასრულებულია

2. სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის (PFMS) განვითარება

2.1 სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში (PFMS) ხაზინის ელექტრონული სისტემის (E-treasury) ფუნქციონალების შემუშავება/განვითარება და არსებული ბიზნეს-პროცესების დახვეწა/გამარტივება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, საფინანსო ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ჩატარებულია შესაბამისი ბიზნეს-პროცესების ანალიტიკა; შემუშავებულია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა; ბიზნეს-პროცესები დახვეწილია/გამარტივებულია და გამართულად ფუნქციონირებს

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

მესამე კვარტლის პროგრესი: ფისკალური გადაწყვეტილებების ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით, მუდმივად ხორციელდება სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის (PFMS) დახვეწა, ბიზნეს-პროცესების გამარტივება, არსებული საინფორმაციო სისტემის მოდერნიზება და სხვადასხვა ფუნქციონალების/მოდულების მომხმარებელთა საჭიროებებზე მორგება.

მეოთხე კვარტლის პროგრესი: ფისკალური გადაწყვეტილებების ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით, მუდმივად ხორციელდება სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის (PFMS) დახვეწა, ბიზნეს-პროცესების გამარტივება, არსებული საინფორმაციო სისტემის მოდერნიზება და სხვადასხვა ფუნქციონალების/მოდულების მომხმარებელთა საჭიროებებზე მორგება.

შენიშვნა: დასრულებულია

2.2 საჯარო სკოლების და საბავშვო ბაღების ინტეგრირება სახელმწიფო მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში (PFMS)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: საჯარო სკოლები და საბავშვო ბაღები ჩართულნი არიან სახელმწიფო მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში; საჯარო სკოლების და საბავშვო ბაღების მიერ შემოსულობების მიღება და გადასახდელების გადახდა ხორციელდება ხაზინის ელექტრონული სისტემის (E-treasury) მეშვეობით.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

მესამე კვარტლის პროგრესი: სახელმწიფო ფინანსების ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, ხაზინის ელექტონულ სისტემაში საჯარო სკოლების და საბავშვო ბაღების ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, განხორციელდა საჯარო სკოლების სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემაზე გადმოყვანის პროცესი. დღეისათვის სახელმწიფო მართვის საინფორმაციო სისტემაში ინტეგრირებულია **1,170 საჯარო სკოლა** და **191 საბავშვო ბაღი**.

მეოთხე კვარტლის პროგრესი: სახელმწიფო ფინანსების ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, ხაზინის ელექტონულ სისტემაში საჯარო სკოლების და საბავშვო ბაღების ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, განხორციელდა საჯარო სკოლების სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემაზე გადმოყვანის პროცესი. დღეისათვის სახელმწიფო მართვის საინფორმაციო სისტემაში ინტეგრირებულია **1,328 საჯარო სკოლა** და **191 საბავშვო ბაღი**.

შენიშვნა: დასრულებულია

2.3 სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ინტეგრირება სახელმწიფო მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში (PFMS)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოები ჩართულნი არიან სახელმწიფო მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში; სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების მიერ შემოსულობების მიღება და გადასახდელების გადახდა ხორციელდება ხაზინის ელექტრონული სისტემის (E-treasury) მეშვეობით.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

მესამე კვარტლის პროგრესი: სახელმწიფო ფინანსების ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, ხაზინის ელექტონულ სისტემაში სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, განხორციელდა სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო ორი საწარმოს - **მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის** და **გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის** სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემაზე გადმოყვანის პროცესი.

მეოთხე კვარტლის პროგრესი: სახელმწიფო ფინანსების ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, ხაზინის ელექტონულ სისტემაში სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, განხორციელდა სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული 6 სახელმწიფო საწარმოს ინტეგრირება,

შენიშვნა: დასრულებულია

2.4 სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლების გადამზადება ხაზინის ელექტრონული სისტემის (E-treasury) გამოყენებასთან/ცვლილებებთან დაკავშირებით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, საფინანსო-ანალიტიკური სამსახური, სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლები გადამზადებულები არიან ხაზინის ელექტრონული სისტემის (E-treasury) გამოყენებასთან/ცვლილებებთან დაკავშირებით

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

მესამე კვარტლის პროგრესი: საჯარო სკოლების სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინტეგრირების ხელშეწყობის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით, გადამზადდა საჯარო სკოლების წარმომადგენლები ხაზინის ელექტრონული სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებით.

მეოთხე კვარტლის პროგრესი: საჯარო სკოლების სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინტეგრირების ხელშეწყობის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით, გადამზადდა საჯარო სკოლების წარმომადგენლები ხაზინის ელექტრონული სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებით.

შენიშვნა: დასრულებულია

2.5 სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების წარმომადგენლების გადამზადება ხაზინის ელექტრონული სისტემის (E-treasury) გამოყენებასთან/ცვლილებებთან დაკავშირებით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური, სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების წარმომადგენლები გადამზადებულები არიან ხაზინის ელექტრონული სისტემის (E-treasury) გამოყენებასთან/ცვლილებებთან დაკავშირებით

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

მესამე კვარტლის პროგრესი: სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინტეგრირების ხელშეწყობის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით, გადამზადდა შესაბამისი საწარმოების წარმომადგენლები, ხაზინის ელექტრონული სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებით.

მეოთხე კვარტლის პროგრესი: სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინტეგრირების ხელშეწყობის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით, გადამზადდა შესაბამისი საწარმოების წარმომადგენლები, ხაზინის ელექტრონული სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებით.

შენიშვნა: დასრულებულია

IV- საგადასახადო და საბაჟო საკითხები

1. საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება

1.1 ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი:

- საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილებების პროექტზე მუშაობის დასრულება 2003 წლის 27 ოქტომბრის საბჭოს 2003/96/EC დირექტივასთან ევროგაერთიანების ფარგლებში ენერგოპროდუქტებისა და ელექტროენერგიის დაბეგვრის ჩარჩოს რესტრუქტურიზაციის შესახებ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით.
- საგადასახადო კოდექსის ცვლილებების პროექტზე მუშაობის დასრულება საგადასახადო კანონმდებლობის ევროპის საბჭოს 2006 წლის 28 ნოემბრის 2006/112/EC დირექტივასთან შემდგომი დაახლოების მიზნით.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: მომზადებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილებების პროექტი.

მომზადებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილებების პროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია ევროპის საბჭოს 2006 წლის 28 ნოემბრის 2006/112/EC დირექტივის სავალებულოდ შესასრულებელი დებულებები.

მომზადებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილებების პროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია „2003 წლის 27 ოქტომბრის საბჭოს 2003/96/EC ევრო გაერთიანების ფარგლებში ენერგო პროდუქტებისა და ელექტროენერგიის დაბეგვრის ჩარჩოს რესტრუქტურიზაციის შესახებ“ დირექტივის სავალებულოდ შესასრულებელი დებულებები.

1.2 საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი:

- საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

- ციფრული ეკონომიკის დაბეგვრასთან დაკავშირებით OECD-ის მიერ შემუშავებული ორსვეტიანი გეგმის მეორე სვეტით გათვალისწინებული წესების დანერგვა.
- დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების ან საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელთა დაბეგვრის არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, საგადასახადო კანონმდებლობის ნორმის გამოყენების შესახებ, საჯარო გადაწყვეტილებების გამოცემა.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი:

- მიმდინარეობდა მუშაობა საგადასახადო კოდექსში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით განსახორციელებელ ცვლილებებზე.

- ციფრული ეკონომიკის დაბეგვრასთან დაკავშირებით OECD-ის მიერ შემუშავებული ორსვეტიანი გეგმის მეორე სვეტით გათვალისწინებული წესების დანერგვის მიზნით გაგრძელდა მუშაობა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის საპილოტე პროგრამის ფარგლებში.

- გამოიცა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 7 ივნისის N195 საჯარო გადაწყვეტილება „გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის დღგ-ით დაბეგვრის თაობაზე, ამ ოპერაციის ფარგლებში უძრავი ნივთის მიწოდებისას“.

1.3 საბაჟო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი:

ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობასთან საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის შედარების დოკუმენტის მომზადება, რომელშიც დეტალურად იქნება ასახული სხვაობა აღნიშნულ კანონდებლობებს შორის

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობასთან საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის შედარების საფუძველზე განხორციელდა ორი თავის ანალიზი.

1.4. საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: „შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობისა და გადასახადებისთვის თავის არიდების აღკვეთის შესახებ" შეთანხმების დადების/არსებული შეთანხმების განახლების მიზნით კანონით განსაზღვრული შესაბამისი პროცედურების განხორციელება.

საგადასახადო მიზნებისთვის გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის ფარგლებში შემუშავებული საერთაშორისო საგადასახადო სტანდარტების დანერგვის და ახალი 2016 წლის მეთოდოლოგიის

შესაბამისად მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციის გაცვლის შეფასების მე-2 რაუნდის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. ასევე საფინანსო ინფორმაციის ავტომატურ გაცვლასთან (CRS) დაკავშირებით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის მომზადება/მიღება.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და დიდი ოცეულის (OECD /G 20) დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) სამოქმედო გეგმის ფარგლებში შემუშავებული 4 მინიმალური სტანდარტის დანერგვის/შემდგომი მონიტორინგის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

OECD-ის რეკომენდაციის შესაბამისად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და დიდი ოცეულის (OECD /G 20) BEPS-ის სამოქმედო გეგმის მე-15 ღონისძიების ფარგლებში შემუშავებული „საგადასახადო შეთანხმებებთან დაკავშირებული ღონისძიებების დანერგვის შესახებ დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მიზნით“ მრავალმხრივი კონვენციის წარმატებით იმპლემენტაციის მიზნით შესაბამის ქვეყნებთან სინთეზირებული ტექსტების მომზადება და გამოქვეყნება.

ციფრული ეკონომიკის დაბეგვრასთან დაკავშირებით OECD-ის მიერ შემუშავებული პირველი და მეორე სვეტის (Pillar 1 and Pillar 2) შესახებ მიღებული შეთანხმებების ეტაპობრივი იმპლემენტაციის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ მიმდინარე წლის 27 მარტს გამოქვეყნდა ანგარიში, საქართველოში საგადასახადო მიზნებისათვის ინფორმაციის გაცვლისა და გამჭვირვალობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობის შესახებ.
შეფასებება განხორციელდა საგადასახადო მიზნებისათვის გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის მიერ, მეორე რაუნდის ფარგლებში და ეფუძნება OECD-ის მიერ განახლებულ მეთოდოლოგიას. შეფასების პროცესში იურისდიქციები ფასდება 10 ელემენტის მიხედვით: A.1 საკუთრებისა და ვინაობის შესახებ ინფორმაციის არსებობა; A.2. საბუღალტრო ინფორმაციის არსებობა; A.3 საბანკო ინფორმაციის არსებობა; B.1 ინფორმაციაზე წვდომა; B.2 უფლებები და გარანტიები; C.1 მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციის გაცვლის (EOIR) მექანიზმები; C.2 მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციის გაცვლის მექანიზმების ქსელი; C.3 კონფიდენციალობა; C.4 უფლებები და გარანტიები და C.5 გაცემული პასუხების ხარისხი და ვადები. აღსანიშნავია, რომ ამ 10 ელემენტიდან 8-ში საქართველოს მიენიჭა უმაღლესი რეიტინგი.

დასრულდა მუშაობა ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის დანერგვაზე. ინფორმაციის გაცვლის ტექნიკური მხარის გამართვის მიზნით განხორციელდა ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის №125 ბრძანებით გათვალისწინებული ანგარიშგების წესში. შესაბამისი ნოტიფიკაციები გაიგზავნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სამდივნოში 2024 წლის სექტემბერში განხორციელდა პირველი გაცვლა.

დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) პროექტის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმართულებით, მე-13 ღონისძიებით (სატრანსფერო ფასწარმოქმნის დოკუმენტაცია და ქვეყნების მიხედვით ანგარიშგება) გათვალისწინებული მულტინციონალური საწარმოთა ჯგუფის ანგარიშგების დანერგვის მიზნით მიმდინარე წლის 4 ივნისს დამტკიცდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №188 „მულტინაციონალური საწარმოთა ჯგუფის ანგარიშგების წესის“ დამტკიცების თაობაზე. ბრძანება ამოქმედდა 2025 წლიდან. მე-13 ღონისძიებით გათვალისწინებული ანგარიშგების ამოქმედების მიზნით, შესაბამისი ნოტიფიკაციები გაიგზავნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სამდივნოში. შევსებულ იქნა ქვეყნების მიხედვით ანგარიშგების დანერგვის შესაფასებლად შემუშავებული კითხვარი, რომელიც ასევე გადაეგზავნა ეკნომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციას.

“საქართველოს მთავრობასა და ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს მთავრობას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ" 2007 წლის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის მიზნით, საგარეო საქმეთა სამინისტროს გაეგზავნა ცვლილებების ოქმის პროექტი შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების განხორციელების მიზნით.

განხორციელდა ანდორის მხარის მიერ შემოთავაზებული, „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“ შეთანხმების ანალიზი და შეთანხმების გაფორმებისათვის შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების განხორციელების მიზნით საგარეო საქმეთა სამინისტროს გაეგზავნა ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“ შეთანხმების პროექტი.

OECD-ის სამდივნოსთან მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა (შევსებულ იქნა OECD-ის მიერ მოწოდებული კითხვარი, ითარგმნა შესაბამისი კანონმდებლობა და ა.შ) OECD-ის მიერ გამჭირვალობისა და საგადასახადო ინფორმაციის გაცვლის ახალი სტანდარტის დანერგვის მიზნით შექმნილ კრიპტო-აქტივების ანგარიშგების პლატფორმასთან (CARF) დაკავშირებით.

1997 წელს გაფორმებული „საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობისა და გადასახადებისთვის თავის არიდების აღკვეთის შესახებ“ შეთანხმების განახლების მიზნით, განხორციელდა შესაბამისი შიდა პროცედურები. დაგეგმილია აზერბაიჯანის მხარესთან მოლაპარაკებების გამართვა 2025 წლის პირველ ნახევარში.

1997 წლის „საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობისა და გადასახადებისთვის თავის არიდების აღკვეთის შესახებ“ შეთანხმების განახლების მიზნით, განხორციელდა შესაბამისი შიდა პროცედურები. პარაფირებული ტექსტის პროექტი ითარგმნა ქართულ ენაზე და გაიგზავნა საგარეო საქმეთა სამინისტროში, შემდგომი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების განხორცილების მიზნით. ასევე მომზადდა განმარტებითი ბარათი, სადაც ასახული იქნა მოლაპარაკებების შედეგად შეთანხმების ქართული პროექტის ტექსტში განხორციელებული ძირითადი ცვლილებები და ფინანსთა სამინისტროს დასკვნა, შეთანხმების ხელმოწერის მიზანშეწონილების შესახებ. 2024 წლის 7 ივნისს გამოიცა მოლაპარაკებების გამართვის უფლებამოსილების თაობაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება და საქართველოს მთავრობის განკარგულება;

ვირტუალურ ფორმატში განახლდა მოლაპარაკებები ომანის სასულთნოსთან 2012 წელს პარაფირებულ ტექსტში ცვლილებების შეტანის მიზნით. ცვლილებების მიზანია შეთანხმებაში BEPS - ის მინიმალური სტანდარტების ასახვა და განაკვეთების გადახედვა;

2024 წელს „შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“ შეთანხმების დადების მიზნით ვირტუალურ ფორმატში გაგრძელდა მოლაპარაკებები მონტენეგროსთან, რის შედეგადაც სადაო მუხლებზე მოხდა შეთანხმება. პარაფირებული ტექსტის პროექტი ითარგმნა ქართულ ენაზე და გაიგზავნა საგარეო საქმეთა სამინისტროში, შემდგომი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების განხორცილების მიზნით. ასევე მომზადდა განმარტებითი ბარათი, სადაც ასახული იქნა მოლაპარაკებების შედეგად შეთანხმების ქართული პროექტის ტექსტში განხორციელებული ძირითადი ცვლილებები და ფინანსთა სამინისტროს დასკვნა, შეთანხმების ხელმოწერის მიზანშეწონილების შესახებ. 2024 წლის 8 აპრილს გამოიცა ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება და შეთანხმების ხელმოწერის თაობაზე საქართველოს მთავრობის განკარგულება.

BEPS-ის მე-5 ღონისძიების შეფასების ფარგლებში, საზიანო საგადასახადო პრაქტიკის ფორუმის (FHTP) სამდივნოს 2024 წლის 5 თებერვალს გადაეგზავნა „ვირტუალური ზონის პირის“ და „საერთაშორისო კომპანიის“ შესახებ ყოველწლიური მონიტორინგის ფარგლებში შევსებული კითხვარი. 2024 წლის აგვისტოში ინკლუზიურ

პლატფორმის მიერ გამოქვეყნდა პრეფერენციული საგადასახადო რეჟიმების შეფასების ანგარიში, რომლის თანახმად საქართველოში არსებული პრეფერენციული საგადასახადო რეჟიმები შეესაბამება OECD-ის მიერ დადგენილ სტანდარტებს.

OECD-ის მიერ 2024 წლის 16 დეკემბერს გამოქვეყნებული ანგარიშით 2023 Peer Review Reports , რომელიც ეხება 2023 წელს საგადასახადო გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის გაცვლას ქვეყნების მიერ, საქართველო შეფასდა დადებითად (No recommendations).

2024 წელს აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ძალაში შესული ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ყველა შეთანხმებებზე MLI-ის გავრცელების თაობაზე. შესაბამისად, OECD-ის სამდივნოსთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად, დასრულდა მუშაობა MLI-ის კონსოლიდირებულ ვერსიაზე. აღნიშნული დოკუმენტი ითარგმნა ქართულ ენაზე და შემდგომი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების განხორციელებების მიზნით გადაეგზავნა საგარეო საქმეთა სამინისტროს.

ციფრული ეკონომიკის დაბეგვრის ორსვეტიანი გეგმის ფარგლებში, OECD WP1-ის მიერ შემუშავებულ იქნა დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლის წესი ე.წ. STTR. აღნიშნული წესის დანერგვის მიზნით დამუშავდა OECD-ის მიერ დამტკიცებული დოკუმენტები „დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლის წესის“ შესახებ და გაანალიზდა აღნიშნული წესის შესაბამისობა, როგორც საგადასახადო კოდექსთან, ისე საქართველოს მიერ „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“ გაფორმებულ შეთანხმებებთან.

2. კანონთან შესაბამისობის სფეროში არსებული საგადასახადო რისკების მართვის პროცესის გაძლიერება

2.1 კანონშესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიზნობრივი ღონისძიებების განხორციელება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:
2024 წლის კანონშესაბამისობის გაუმჯობესების გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებით დაგეგმილი აქტივობები შესრულებულია:

- ✓ ვაჭრობის დარგის, გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების, სამშენებლო საქმიანობისა და მსხვილი გადასახადის გადამხდელების მიმართულებებით;
- ✓ დეკლარირების სისწორის კონტროლის პროგრამები დანერგილია/განახლებულია;
- ✓ ქცევითი მიდგომების გამოყენებით ჩასატარებელი ექსპერიმენტის და შედეგების გასაზომად საჭირო პროცედურები განხორციელებულია;
- ✓ საგადასახადო დეკლარაციის წინასწარი შევსების მექანიზმი დანერგილია;
- ✓ შემოსავლების სამსახურის ძირითადი მაჩვენებლების (KPI-ის) შესახებ მონაცემების რეპორტის ავტომატიზაცია მინიმუმ 5 გარემოსთვის ("დეშბორდი") შექმნილია;
- ✓ კანონშესაბამისობის პროგრამების დავალების შესწავლის შედეგების ხარისხი შეფასებულია მინიმუმ 3 პროგრამის ფარგლებში.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

შემოსავლების სამსახური, გადასახადის გადამხდელთა კანონშესაბამისობის დონის გაუმჯობესების მიზნით, იყენებს სხვადასხვა ინსტრუმენტებს და პროცესებს, რომელიც ეფუძნება გადასახადის გადამხდელის ოთხ ფუნდამენტურ ვალდებულებას: რეგისტრაციას, დროულ დეკლარირებას, სწორ დეკლარირებას და გადასახადების დროულ გადახდას.

2024 წლის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში, განხორციელდა „2024-2025 წლების კანონშესაბამისობის გაუმჯობესების გეგმით“ განსაზღვრული ოთხივე პრიორიტეტული მიმართულების შესრულების უზრუნველსაყოფად დამტკიცებული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები.

<u>ვაჭრობის დარგი:</u>

გადასახადის გადამხდელთა მონაცემთა ბაზის სრულყოფის მიზნით, გადასახადების ადმინისტრირების შესახებ N996 ბრძანებაში ცვლილების საფუძველზე 2024 წლის 1 აპრილიდან სავალდებულო გახდა ბაზრობის ტერიტორიაზე საქონლის სარეალიზაციოდ განკუთვნილი სტაციონარული სავაჭრო ობიექტების და არასტაციონარული სავაჭრო ადგილების მეიჯარის მიერ ინფორმაციის წარდგენა. აღნიშნულის გათვალისწინებით შემუშავდა და ფუნქციონირებს ელექტრონული მოდული, რომელიც გადასახადის გადამხდელებს უმარტივებს ინფორმაციის წარმოდგენას დისტანციურ რეჟიმში. პერმანენტულად ხორციელდება ვაჭრობის დარგში არსებული დაბეგვრის პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა.

ვაჭრობის დარგში სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს და ეტაპობრივად სრულდება რისკის სეგმენტის პროფილის კვლევა, დასრულებულ სეგმენტებზე შეიქმნა რისკის პროფილის როგორც ახალი, ასევე კორექტირებული დოკუმენტი და განახლდა რისკის პროფილები.

ვაჭრობის დარგში გადასახადის გადამხდელთა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისის რისკი შეფასების სრულყოფის მიზნით, ინფორმაციის დამატებითი წყაროების გამოყენებით, დაიხვეწა მარაგების მართვის პროგრამის კრიტერიუმები. მიმდინარეობს შეცვლილი კრიტერიუმების პროგრამული უზრუნველყოფა.

საგადასახადო ცნობიერების ამაღლების მიმართულებით, დარგში არსებულ გადამხდელებს ელექტრონული გვერდის გამოყენებით, მიეწოდათ ინფორმაცია საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე.

2024 წელს აღნიშნული მიმართულების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების საფუძველზე დაიდენტიფიცირდა რისკის მქონე გადასახადის გადამხდელები და გაგრძელდა ვაჭრობის დარგის მაღალ რისკიან გადამხდელებთან, როგორც საგადასახადო შემოწმებების ასევე, მიმდინარე კონტროლის ღონისძიებების ინიცირება.

<u>გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადი:</u>

პროექტის ფარგლებში, 2024 წლის განმავლობაში, მოცემულ სფეროში კანონშესაბამისობის დონის ამაღლების მიზნით, დაიდენტიფიცირდა ყველა შესაძლო დაინტერესებული მხარე და გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების კანონშესაბამისობის რისკები, მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად შემუშავდა რისკების შეფასებისა და სამართლებრივი გარემოს ანალიზის დოკუმენტები.

ავტომატური ვალიდაციისა და შეცდომების პრევენციის მექანიზმების შემუშავების პროცესში, გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაციების ანალიზის საფუძველზე დაიდენტიფიცირდა პრობლემური ველები და შესაბამისი ლოგიკების საფუძველზე განხორციელდა პროგრამული უზრუნველყოფა. ამასთან, გადასახადის გადამხდელთა შესახებ მონაცემთა ბაზის სრულყოფის მიზნით, დეკლარაციის ფორმაში ჩაემატა დანართი „ე“, რომელშიც გადასახადის გადამხდელი ვალდებულია ასახოს მიღებული მომსახურებისთვის ფულადი ფორმით განხორციელებული ანაზღაურება (რომელიც არ ექვემდებარება დაბეგვრას გადახდის წყაროსთან), მისი ფაქტობრივად გაცემის საანგარიშო თვის მიხედვით. აღნიშნული ცვლილების საფუძველზე, შემოსავლების სამსახური მიიღებს ინფორმაციას ფიზიკური პირების მიერ მიღებული შემოსავლების შესახებ, რომლებიც არ დაიბეგრა გადახდის წყაროსთან და ექვემდებარება ფიზიკური პირის მიერ დეკლარაირებას შესაბამის სავადო პერიოდში.

დასრულდა რისკის სეგმენტის პროფილის კვლევა, შეიქმნა რისკის პროფილის კორექტირებული დოკუმენტი და განახლდა რისკის პროფილი.

ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის ხელშეწყობისა და საგადასახადო ვალდებულებებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, განხორციელდა გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების გადამხდელთა სამიზნე ჯგუფების იდენტიფიცირება და მათზე მორგებული კომუნიკაციის კამპანიის შემუშავება, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებების გაცნობა გადამხდელის ელექტრონული გვერდის გამოყენებით და გაიმართა კონსულტაციები ბიზნეს ასოციაციებთან და პროფესიულ ორგანიზაციებთან. შემუშავების პროცესშია რისკიანი გადამხდელების იდენტიფიცირებისა და მათი მხრიდან კანონშესაბამისობის უზრუნველყოფის წამახალისებელი გეგმა.

პროექტის ფარგლებში, 2024 წლის განმავლობაში, მუდმივ რეჟიმში ხორციელდებოდა დაქირავებულ პირთა რეესტრის სისწორის კონტროლის პროგრამის რისკის ინდიკატორების შეფასება/გადასინჯვა, საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის მიერ შეცვლილი ლოგიკების პროგრამული უზრუნველყოფა და შემდგომი ტესტირება/ოპტიმიზაცია.

<u>სამშენებლო საქმიანობა:</u>

პროექტის ფარგლებში, 2024 წლის განმავლობაში, უცხოური და ადგილობრივი ექსპერტების პრაქტიკის გაზიარების საფუძველზე დაიხვეწა ღონისძიებათა გეგმა, კონკრეტული საგადასახადო რისკების ფარგლებში, განისაზღვრა საკითხის გადაჭრის რამდენიმე მიდგომა. ანალიზის საფუძველზე შეჯერდა საგადასახადო გარემოსთვის და გადასახადის გადამხდელის ქცევის ცვლილებისთვის რამდენიმე ოპტიმალური ვარიანტი/მიდგომა.

2024 წლის განმავლობაში, მუდმივ რეჟიმში ხორციელდებოდა სამშენებლო საქმიანობის პოპულაციიდან, მაღალი რისკი გადასახადის გადამხდელების მიმართ საგადასახადო კონტროლის ღონისძიებების (შემოწმება-დეკლარაციების სისწორის კონტროლის) ინიცირება.

დარგში არსებულ გადამხდელებთან საგადასახადო ცნობიერების ამაღლების მიმართულებით, განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებების გაცნობა გადამხდელის ელექტრონული გვერდის გამოყენებით. ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის იდენტიფიცირებისა და მათზე მორგებული კომუნიკაციის კამპანიის შემუშავების მიზნით განხორციელდა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან შეხვედრა და გადასახადის გადამხდელებისთვის აქტუალური საკითხებისა და შემდგომი ღონისძიებების განხილვა.

<u>მსხვილი კატეგორიის მქონე გადასახადის გადამხდელები:</u>

პროექტის ფარგლებში, 2024 წლის განმავლობაში, განხორციელდა მსხვილ გადასახადის გადამხდელებთან ასოცირებული საგადასახადო რისკის მოდული ინტეგრირება DW (მონაცემთა საცავი) გარემოში. დაიხვეწა მონაცემთა საცავში არსებული რისკის მოდულები. მიმდინარეობს ჰორიზონტალური მონიტორინგის მიდგომის პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობის განხილვა.

განხორციელდა მსხვილ გადასახადის გადამხდელთა ოფისის მიერ შესრულებული ღონისძიებების მესამე დონის ხარისხის კონტროლი. მონაცემების დამუშავება დასრულებულია და მიმდინარეობს შეჯამების პროცესი.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრში მიმდინარეობს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის შექმნა.

შემუშავდა სერვისისა და დარგობრივი ანალიზის ღონისძიებების ფუნქციონალების მეთოდოლოგია და აფილირებული/დაკავშირებული პირების განსაზღვრის და მათ მიმართ განსახორციელებელი ღონისძიებების წესი. მსხვილი გადასახადის გადამხდელთა თითოეული კლასისთვის შემუშავდა კანონშესაბამისობის თანამშრომლური მიდგომებისათვის ჩარჩო დოკუმენტი, მიმდინარეობს თანამშრომლური მიდგომების/სერვისების დადგენის პროცესი.

კონსულტაციების შედეგად, ნაწილობრივ განხორციელდა შემოსავლების სამსახურის სხვა საოპერაციო დეპარტამენტების მიერ მსხვილ გადამხდელებთან დაკავშირებული სერვისების, პროცესების და ღონისძიებების ადმინისტრირების გადმოტანა მსხვილ გადამხდელთა ოფისში. დარჩენილი პროცესებისა და ღონისძიებების გადმოტანასთან დაკავშირებით გრძელდება კონსულტაციები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მსხვილ გადამხდელთა ოფისის საკადრო უზრუნველყოფას: გაიზარდა საკადრო რესურსი, დასაქმებულ პირთა შემდგომი პროფესიული განვითარებისთვის ჩატარდა შესაბამისი ტრენინგები.

მიმდინარეობს მსხვილ გადამხდელთა პროგრამის შეფასება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან აქტიური თანამშრომლობით, მიღებულია პროგრამის შეფასების შუალედური შედეგები.

<u>ქცევითი მიდგომების გამოყენებით ჩასატარებელი ექსპერიმენტი</u>

მსოფლიო ბანკსა და შემოსავლების სამსახურს შორის მიმდინარე თანამშრომლობის ფარგლებში, დეკლარაციის ჭრილში წარმოსადგენი ინფორმაციის ვალიდაციის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ექსპერიმენტი დასრულდა. ასევე, დასრულდა ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგების ანალიზი. ექსპერიმენტის შედეგების ანალიზიდან და ექსპერტების მისიების ფარგლებში გამართული შეხვედრებიდან გამომდინარე დაიგეგმა ახალ მიმართულებებზე დახმარების გაწევა. შედგა პირველი დისტანციური შეხვედრა მსოფლიო ბანკის ექსპერტებსა და შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებს შორის.

მსოფლიო ბანკსა და შემოსავლების სამსახურს გამართული შეხვედრის ფარგლებში გადაიხედა პროექტის ვადები და აქტივობები. შესაბამისად, პროექტის განახლება დაგეგმილია 2025 წლიდან.

<u>საგადასახადო დეკლარაციის წინასწარი შევსების მექანიზმი</u>

წინასწარი დეკლარირების მექანიზმი გულისხმობს, საგადასახადო ორგანოს მხრიდან გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრას დამოუკიდებლად, გადასახადების ადმინისტრირების ბაზაში არსებული, მესამე მხარიდან მიღებული ინფორმაციისა და სხვა ობიექტური მონაცემების საფუძველზე, რომელსაც ექნება რიგ შემთხვევაში სარეკომენდაციო, ხოლო რიგ შემთხვევებში სავალდებულო ხასიათი. გადასახადის გადამხდელს ექნება შესაძლებლობა, გაეცნოს საგადასახადო ორგანოს მიერ წინასწარ შევსებული დეკლარაციის მონაცემებს, რომელსაც ან დაეთანხმება ან საკუთარი შეხედულებითა და სათანადო არგუმენტაციით წარმოადგენს შეცვლილ დეკლარაციას.

პროექტის სამიზნე პოპულაციას ამ ეტაპზე წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადის დეკლარაცია მცირე ბიზნესის სტატუსი მქონე პირებისთვის, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული დღგ-ს გადამხდელად.

2024 წლის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში, განხორციელდა მცირე ბიზნესის საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის წინასწარი შევსებისათვის საჭირო ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება, ინფორმაციის წყაროების განსაზღვრა, შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების სისტემაში არსებული ინფორმაციისა და მესამე მხარისგან მიღებული ინფორმაციის ანალიზი და შესაძლო გამოყენების განსაზღვრა მოდელირების გზით, მცირე ბიზნესის დეკლარაციის განახლებული ფორმის ნიმუშის ჩამოყალიბება, მეთოდოლოგიის შემუშავება, საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და განხორციელება, ტექნიკური დოკუმენტის მომზადება და პროგრამული უზრუნველყოფა.

პროექტის განხორციელების შედეგად, მცირე ბიზნესის საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის წინასწარი ავტომატური შევსების მექანიზმი დანერგილია და ფუნქციონირებს რეალურ გარემოში.

<u>შემოსავლების სამსახურის ძირითადი მაჩვენებლების (KPI-ის) შესახებ მონაცემების რეპორტის ავტომატიზაცია</u>

პროექტის მიზანია, პერიოდული ანგარიშებისათვის საჭირო სტატისტიკური ინფორმაციის ავტომატურ რეჟიმში გენერირება BI რეპორტის სახით, თუმცა მისი გამოყენება არ შემოიფარგლება მხოლოდ ამით.

2024 წლის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში, იდენტიფიცირებული საჭიროებებიდან გამომდინარე, დამატებულია დეშბორდები ლოკალურ გარემოში კერძოდ: გადამხდელის რეგისტრაციის სამართლებრივი ფორმის, აქტიურობის სტატუსის, შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმის, შემზღუდველი რეჟიმის, საქმიანობის სახის, დღგ-ს რეგისტრაციის და სხვა მახასიათებლების ჭრილში.

2.2 აქტივობა - მონაცემთა საცავის (Data Warehouse) მხარდაჭერა და განვითარება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

- ✓ მონაცემთა საცავში შექმნილია/დამატებულია არანაკლებ 4 მოდული ან/და რეპორტთა ჯგუფი, ინტეგრირებულია არანაკლებ ორი ახალი წყაროსგან მიღებული მონაცემი;
- ✓ მონაცემთა საცავის უსაფრთხოების რისკები იდენტიფიცირებულია;

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

შემოსავლების სამსახურის მიზანია, მონაცემთა საცავის შესაძლებლობების გაზრდა, მოწინავე ანალიტიკის დანერგვა და რეპორტინგისა და ვიზუალიზაციის გარემოში სამსახურის მიზნების შესაბამისი რეპორტების და მოდულების შექმნა.

2024 წლის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში, მონაცემთა საცავის მხარდაჭერისა და განვითარების მიმართულებით შეიცვალა ან დაემატა:

- საგადასახადო რისკების მოდულების მიმართულებით - 3 მოდული
- მონაცემთა დამუშავების და ანალიზის სისტემის რეპორტინგისა და ვიზუალიზაციის გარემოს მიმართულებით - 9 რეპორტი

დამატებით მონაცემთა საცავში ინტეგრირებულია - 11 ცხრილი

ბიზნეს მოთხოვნის შესაბამისად შეცვლილია/მოდიფიცირებულია: 6 რეპორტი

მონაცემთა საცავის უსაფრთხოების რისკების განსასაზღვრად გაიწერა მონაცემთა საცავის აქტივების აღწერის ფორმები კატეგორიების მიხედვით. სამსახურის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიღების შემდეგ (რომელიც განისაზღვრება 2025 წელს) შეფასდება მონაცემთა საცავის რისკები და გაიწერება შესაბამისი სცენარები.

2.3 აქტივობა - გადასახადის გადამხდელის ქცევის რეიტინგის განსაზღვრა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

- ✓ ქცევის რეიტინგის მოდულში გადასახადის გადამხდელთა მხრიდან უკუკავშირი დანერგილია;
- ✓ ქცევის რეიტინგის მოდულისთვის იდენტიფიცირებულია ინდიკატორის ახალი კრიტერიუმ(ებ)ი შეფასებულია და გაანალიზებულია მიმდინარე კრიტერიუმები;
- ✓ ქცევის რეიტინგი სამიზნე პოპულაციისათვის ხელმისაწვდომია.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

საგადასახადო ქცევის რეიტინგი დაფუძნებულია გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების შესრულების დისციპლინაზე, რომელიც ფასდება საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის განხორციელებულ ფაქტობრივ, უტყუარ ქმედებაზე დაყრდნობით.

საგადასახადო ორგანოს მიერ, გადასახადის გადამხდელის ვალდებულებების შესრულების დისციპლინის შეფასებისას (საწყის ეტაპზე) გამოყენებული იქნება 4 ძირითადი ინდიკატორი მასში თავმოყრილი კრიტერიუმებით, რომელთა დაკმაყოფილების ან არ დაკმაყოფილების შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს ენიჭება რეიტინგი. აღნიშნული რეიტინგი წარმოაჩენს საგადასახადო ორგანოს ხედვას გადასახადის გადამხდელის გარკვეული ქმედებების მიმართ.

ქცევის რეიტინგის სამიზნე პოპულაციას, ამ ეტაპზე, წარმოადგენენ სიდიდის კატეგორიით საშუალო, საკუთრების ფორმით არასახელმწიფო დღგ-ს გადამხდელები.

2024 წლის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში, განხორციელდა ქცევის რეიტინგის მოდულისთვის ახალი კრიტერიუმების იდენტიფიცირება, არსებული კრიტერიუმების რედაქტირება, აღნიშნული კრიტერიუმების ლოგიკების შემუშავება, პროგრამული უზრუნველყოფა, ქცევის რეიტინგის ჩართვა სამიზნე პოპულაციაზე (2024 წლის მარტი), RS პორტალზე ქცევის რეიტინგის ჩანართში უკუკავშირის მოდულის ინტეგრირება, რომლის საშუალებითაც გადასახადის გადამხდელებს მიეცათ ქცევის რეიტინგთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების საშუალება. მიღებული უკუკავშირის ანალიზის შედეგად განხორციელდა ახალი კრიტერიუმების დამატება.

პროექტის განხორციელების შედეგად, გადასახადის გადამხდელს ყოველთვიურად ენიჭება ქცევის რეიტინგი და ხორციელდება მისი ინტეგრირება RS.ge პორტალზე. გადამხდელს მიეწოდება დეტალური ინფორმაცია ზოგადი ვალდებულებების შესრულებისა და არსებული მდგომარეობის შესახებ. აღნიშნული პროდუქტი ჩართულია სამიზნე პოპულაციაზე სრულად. ახალი კრიტერიუმების იდენტიფიცირება, არსებული კრიტერიუმების რედაქტირება და ინტეგრაცია მუდმივი პროცესია. აღნიშნული პროდუქტის მიმართ მაღალი დაინტერესებიდან გამომდინარე იგეგმება პოპულაციის კიდევ უფრო გაფართოება.

<u>2.4 აქტივობა - სუბიექტის ლიკვიდაცია/რეორგანიზაციისას შემოსავლების სამსახურში არსებული პროცესების მოდერნიზაცია</u>

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

- ✓ სუბიექტის ლიკვიდაცია/რეორგანიზაციის ბიზნესის პროცესის განახლებული კონცეფცია შემუშავებულია;
- ✓ საჭირო საკანონმდებლო ცვლილებები იდენტიფიცირებული და ინიცირებულია;
- ✓ მესამე მხარესთან ინფორმაციის გაცვლის ავტომატიზაცია უზრუნველყოფილია;
- ✓ ბიზნესის პროცესისთვის საჭირო პროგრამული მოდულების ლოგიკები შემუშავებულია;
- ✓ ბიზნესის პროცესისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა დასრულებულია.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროცესების მოდერნიზაცია ითვალისწინებს დაშლის (ლიკვიდაციის), გადასახადის გადამხდელად აღრიცხული პირის საგადასახადო აღრიცხვის გაუქმების და რეორგანიზაციის პროცესების ავტომატურ მართვას.

2024 წლის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში, შემუშავდა და ყველა საჭირო სტრუქტურულ ერთეულთან შეჯერდა ბიზნესპროცესის კონცეფცია. ჩამოყალიბდა და შეთანხმების მიზნით მეთოდოლოგიის დეპარტამენტს გაეგზავნა სალიკვიდაციო დეკლარაციების/ინფორმაციის და დაშლისას წარმოსადგენი ინფორმაციის ფორმები.

განხორციელდა საკანონმდებლო ბაზის შესწავლა და საჭირო ცვლილებების ინიცირების დოკუმენტების გარკვეული ნაწილის შემუშავება. განისაზღვრა დაშლის პროცესში მყოფი პირის ძირითადი საგადასახადო ვალდებულებები და 2024 წლის 26 ივნისის N217 ბრძანებით შესაბამისი ცვლილება განხორციელდა გადასახადების ადმინისტრირების შესახებ N996 ბრძანებაში.

განხორციელდა პროექტში ჩართული შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების იდენტიფიცირება და მათი ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე თითოეული სტრუქტურული ერთეულისათვის პროცესის მართვის აღწერა.

დასრულდა არსებული და შესაძლო რისკების იდენტიფიცირება დაშლის (ლიკვიდაციის)/რეორგანიზაციისა და საგადასახადო აღრიცხვის გაუქმების პროცესებში. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს მუშაობა რისკის კრიტერიუმების/ინდიკატორების ლოგიკების შემუშავების მიზნით.

დაიდენტიფიცირდა პროექტისთვის საჭირო მესამე მხარეები და განისაზღვრა მათთან გასაგზავნი/მისაღები ინფორმაცია. აღნიშნულის ფარგლებში მოლაპარაკებები გაიმართა საჯარო რეესტრის წარმომადგენლებთან ინფორმაციის ავტომატური გაცვლის ორმხრივ შეთანხმებაზე.

პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს დავალებების მართვის ელექტრონული სისტემის შექმნისთვის ლოგიკების შემუშავება ლიკვიდაციის/საგადასახადო აღრიცხვის გაუქმებისა და სუბიექტების რეორგანიზაციის პროცესისთვის, აღნიშნული საჭიროებს შეთანხმებას მესამე მხარესთან (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო), მისაღები ინფორმაციის გათვალისწინების მიზნით.

პროექტის განხორციელების პროცესში გამოიკვეთა შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ გვერდზე სალიკვიდაციო გარემოს შექმნის საჭიროება, დაშლის (ლიკვიდაციის) პროცესში მყოფი გადამხდელებისათვის. მიმდინარეობს აღნიშნულ გარემოში განსათავსებელი ინფორმაციის დადგენა.

აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება და პროცესის პროგრესი სრულად დამოკიდებულია მესამე მხარის (საჯარო რეესტრი) მიერ ავტომატურ რეჟიმში გასაცვლელ ინფორმაციასა და მის ტექნიკურ უზრუნველყოფაზე.

2.5 აქტივობა - პირველადი საგადასახადო დოკუმენტების მოდერნიზაცია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

- ✓ მომსახურების გაწევის ნაწილში პირველადი საგადასახადო დოკუმენტების ელექტრონული გამოწერის შესაძლებლობა დანერგილია (მათ შორის დღგ-ს არგადამხდელებისთვის);

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

საგადასახადო დოკუმენტების მოდერნიზაციის შედეგად, ელექტრონული ანგარიშ-ფაქტურები გაინაშთება ფაქტურაშივე, რის საფუძველზე თავიდან იქნება არიდებული ორმაგი ჩათვლები. ამასთან, „საგადახადო დოკუმენტი“ დაინერგება დღგ-ის არაგადამხდელ პირებზე და გამოწერა მოხდება მხოლოდ გაწეულ მომსახურებაზე.

2024 წლის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში, შემუშავდა ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმძღვანელო, მომზადდა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, შეიქმნა პროგრამული მოდული და გადასახადის გადამხდელებთან ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები.

პროექტის განხორციელების შედეგად, საბოლოო ანგარიშ-ფაქტურაშივე ხორციელდება ავანსის თანხის განაშთვა, ხოლო დღგ-ის არა გადამხდელ პირებს შესაძლებლობა აქვთ გამოწერონ საგადასახადო დოკუმენტი მხოლოდ გაწეული მომსახურების შემთხვევაში და იმ პირებს, ვინც აღნიშნულ ცვლილებამდე ახორციელებდა საგადასახადო დოკუმენტის გამოწერას, შეეზღუდათ გამოწერის შესაძლებლობა.

2.6 აქტივობა - საქართველოს მოქალაქეობის არმქონე და ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთა საგადასახადო რეგისტრაციის და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში თანხის გადახდის პროცედურების გაუმჯობესება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

- ✓ მესამე მხარისგან ინფორმაციის მიღების მიზნით არანაკლებ 1 უწყებასთან ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია;
- ✓ პირის რეგისტრაციისას არანაკლებ 1 უწყებასთან ინფორმაციის გაცვლა ავტომატურ რეჟიმში ხორციელდება;
- ✓ კომერციულ ბანკებთან მოლაპარაკებები დასრულებულია და ერთიან სახაზინო კოდზე თანხის გადახდის პროცედურა განახლებულია.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროცედურების გაუმჯობესებით, შესაძლებელი იქნება მინიმუმამდე შემცირდეს დუბლირებული რეგისტრაციის შემთხვევები და თავიდან იქნას აცილებული ბიუჯეტში გადახდილი „გაურკვეველი“ თანხები. პირის რეგისტრაციისას, მოხდება შემოსავლების სამსახურის და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბაზებში არსებული რეგისტრირებული/რეგისტრაციის მსურველი პირების შესახებ მონაცემების გადამოწმება. გადახდა განხორციელდება ბანკებთან წინასწარ შეთანხმებული სტანდარტით და სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდისას მოხდება პირის იდენტიფიცირება. შესაძლებელი იქნება ბიუჯეტში გადახდილი თანხის და გადამხდელის მონაცემების დაკავშირება.

2024 წელს განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში, საგადასახადო რეგისტრაციის კომპონენტთან დაკავშირებით, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან გამართულ შეხვედრაზე განხილულ იქნა არსებული საჭიროებები. შეხვედრის ფარგლებში გამოიკვეთა საკითხის ნაკლებ პრიორიტეტულობა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მხარეს რესურსების ნაკლებობა. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით პროექტის სამოქმედო გეგმა დაკორექტირდა.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში თანხის გადახდის პროცედურების გაუმჯობესების მიზნებისთვის, 2024 წელს ეროვნული ბანკის მონაწილეობით, კომერციულ ბანკებთან მიმდინარეობდა მოლაპარაკებები. შეხვედრების ფარგლებში, მოხდა არსებული პრობლემური საკითხების განხილვა და შესაძლო გადაჭრის გზების მოძიება. განხილულ იქნა სამართლებრივი და ტექნიკური საკითხები, რომლის გადაწყვეტაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს ერთიან სახაზინო კოდზე გადახდის არსებულ პროცედურას.

კომერციულ ბანკებთან მიღწეულია შეთანხმება და ბანკების მიერ მოხდება საიდენტიფიკაციო კოდის გადამოწმების სერვისის მათ სისტემებში ინტეგრირება. ერთიან სახაზინო კოდზე გადახდისას საიდენტიფიკაციო კოდის სავალდებულო მითითებით და პირის შესახებ მონაცემების გადამოწმებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება არსებული გადახდები და მინიმუმამდე შემცირდება ბიუჯეტში „გაურკვეველი“ ჩარიცხვები. ტექნიკური სამუშაოების შესრულება სრულად დამოკიდებულია კომერციული ბანკების ჩართულობაზე.

3. საბაჟო რისკების მართვისა და წინასწარი ინფორმაციის გაცვლის სისტემის განვითარება

3.1 აქტივობა - საბაჟო რისკების მართვის სისტემის მოდერნიზაცია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

- ✓ რისკების მართვის სისტემაში ინტეგრირებული აპლიკაციების ხარვეზები აღმოფხვრილია;
- ✓ რისკების მართვის სისტემა ფუნქციონირებს სამუშაო რეჟიმში.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

საბაჟო რისკების მართვის სისტემაში ინტეგრირებული ანალიტიკური პლატფორმა „Elastic & Cibana“-ს აპლიკაცია საშუალებას იძლევა სხვადასხვა ჭრილში, სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავების შესაძლებლობას, მაგ: წლების, დერეფნების, საბაჟოების, სასაქონლო ოპერაციების მიხედვით და ა.შ.. ამასთან, გააჩნია კარგად აღქმადი ვიზუალიზაცია და მოკლე დროში ახორციელებს საჭირო ინფორმაციის მოძიებას.

საბაჟო რისკების მართვის სისტემის მოდერნიზაციის პროცესში აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის, EXBS-პროგრამის ფარგლებში და კომპანია NU BORDERS-ის დახმარებით, განხორციელდა ანალიტიკური პლატფორმის ინსტალაცია. საბაჟო რისკების მართვის სამმართველოს თანამშრომლებს (10 თანამშრომელი) მიეცათ დაშვება ანალიტიკურ პლატფორმაზე Elastic & Cibana.

საბაჟო რისკების მართვის სამმართველოს ანალიტიკოსებმა გაიარეს NU BORDERS-ის მიერ ჩატარებული ტრენინგი სატესტო მონაცემთა ბაზის გამოყენებით. სისტემაში მუშაობისთვის საჭირო პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით კი დამატებით ჩატარდა ქართული კომპანიის - „Edutech"-ის სასწავლო კურსი.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის მიერ, აღნიშნულ პლატფორმაში არსებული მონაცემების გადატანის საკითხები დასრულებულია და სისტემა ფუნქციონირებს რეალურ გარემოში. დიდი მონაცემთა ბაზებისა და სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების კუთხით, საანალიზო სისტემა გამოიყენება საბაჟო რისკების მართვის სამმართველოს ანალიტიკოსების მიერ ყოველდღიურ სამუშაო პროცესში. ამასთან, ხორციელდება დამუშავებული მონაცემების პერიოდული მონიტორინგი.

3.2 აქტივობა - საბაჟო ინფორმაციის გაცვლის სისტემის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

- ✓ საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის ტექნიკური დოკუმენტი ხელმოწერილია და ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება სატესტო რეჟიმში;
- ✓ საქართველო-თურქეთს შორის ტექნიკური დოკუმენტი ხელმოწერილია და ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება სატესტო რეჟიმში;

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის საბაჟო ინფორმაციის გაცვლის სისტემის დანერგვის მიზნით, 2024 წელს, პროექტის ფარგლებში, შესწავლილი იქნა სამმხრივი ტექნიკური დოკუმენტი, დასრულდა მუშაობა საქართველოსა და თურქეთს შორის სისტემების ინტეგრაციის კომპონენტზე და გრძელდება სერვისის აწყობის დეველოპმენტ სამუშაოები.

თურქული მხარის მიერ ,ტექნიკური სამუშაოების შესრულების დაგვიანების გამო პროექტების განხორცილების ვადები დაკორექტირდა და პროექტის დასრულების ვადამ გადაიწია 2025 წლისთვის.

საქართველო-თურქეთს შორის გადაადგილებულ საქონელზე საბაჟო ღირებულების შესახებ ინფორმაციის გაცვლის სისტემის დანერგვის მიზნით, 2024 წელს, პროექტის ფარგლებში, შესწავლილი იქნა ორმხრივი ტექნიკური დოკუმენტი, დასრულდა მუშაობა საქართველოსა და თურქეთს შორის სისტემების ინტეგრაციის კომპონენტზე და გრძელდება სერვისის აწყობის სამუშაოები.

თურქული მხარის მიერ ტექნიკური სამუშაოების შესრულების დაგვიანების გამო პროექტების განხორცილების ვადები დაკორექტირდა და პროექტის დასრულების ვადამ გადაიწია 2025 წლისთვის.

3.3 აქტივობა - eTIR სისტემის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

- ✓ TIR პროცედურის მფლობელის ავტორიზაციისთვის პროგრამული მოდული გაშვებულია სამუშაო რეჟიმში;
- ✓ eTIR პროგრამული მოდული შემუშავებულია;
- ✓ eTIR პროგრამული მოდული გაშვებულია სატესტო რეჟიმში.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

eTIR არის გარანტიით უზრუნველყოფილი გადაზიდვა ტირ დოკუმენტით. აღნიშნული გულისხმობს ტირ დოკუმენტის დიჯიტალიზაციასა და ტვირთის ერთი გარანტიით გადაადგილებას კონვენციის წევრ ქვეყნებში.

ამ მიმართულებით ცვლილება შევიდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის №257 ბრძანებაში, პირის TIR პროცედურაზე დაშვების / გაუქმების /შეჩერების კრიტერიუმების განსაზღვრის მიზნით.

წლის დასაწყისში პროცესი მიმდინარეობდა TIR პროცედურაზე დასაშვებ /დაშვებულ პირთა ავტორიზაციების მართვის პროგრამული მოდულის შექმნის მიზნით. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა პლატფორმის შექმნაზე.

4. საგადასახადო დავალიანების მართვის სისტემის გაუმჯობესება

4.1 აქტივობა - ვალის მართვის 2022-2024 წლების სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

- ✓ საგადასახადო შეთანხმების დავალებების მართვის პროგრამა დანერგილია;
- ✓ ექსპერტიზის სამმართველოს დავალებების მართვის პროგრამა დანერგილია ვალის მართვის, აუდიტის, საგადასახადო მონიტორინგისა და ფინანსური დეპარტამენტებისთვის.
- ✓ დროებით ამოუღებადი დავალიანების მქონე საწარმოების დამფუძნებელთა მიერ დაფუძნებული კომპანიების იდენტიფიცირების და ადმინისტრირების პროგრამა შემუშავებულია;
- ✓ ვალის მართვის 2022-2024 წლების სტრატეგიის შესრულების ძირითადი მაჩვენებლები მიღწეულია;

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

საგადასახადო დავალიანების მართვის რეფორმის ფარგლებში აღნიშნული პროექტით დავალებების პროგრამული მართვის სისტემა შეიქმნება საგადასახადო შეთანხმებებისა და სასაქონლო ექსპერტიზის მიმართულებებით.

<u>საგადასახადო შეთანხმების პროგრამული უზრუნველყოფის</u> დანერგვით შესაძლებელი იქნება შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებული პროცესები გახდეს ავტომატური, რაც მოიცავს შეთახმების განცხადებების აღრიცხვას, გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაციის ავტომატურ დამუშავებას, შეთანხმების აქტის ელექტრონულად გაფორმებას, შეთანხმების შესრულებასთან/დარღვევასთან დაკავშირებული ბრძანებების გენერირებას, შეთანხმების შესრულების და ვადების პროგრამულ კონტროლს და შეთანხმებით გათვალისწინებული თანხების ასახვას გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე.

<u>სასაქონლო ექსპერტიზის პროგრამული მოდულის</u> დანერგვით, შესაძლებელი იქნება დავალებების მართვის ელექტრონული მოდულიდან შეფასებასთან დაკავშირებული დავალებების მიღება, დეტალური დამუშავება და დავალებაზე ელექტრონულად პასუხის გაცემა. აღნიშნულ პროგრამულ მოდულში დავალებების მიღება შესაძლებელი იქნება ვალის მართვის დეპარტამენტის, აუდიტის დეპარტამენტის, საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის დავალებების მართვის ელექტრონული მოდულიდან და ფინანსური დეპარტამენტიდან.

2024 წლის განმავლობაში საგადასახადო შეთანხმების პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელდა საგადასახადო შეთანხმების დავალებების მართვის ელექტრონულ სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკურ დოკუმენტში აღწერილი მოთხოვნების დაზუსტება, საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის მიერ პროგრამული უზრუნველყოფა და შემდგომი ტესტირება/ოპტიმიზაცია.

პროექტის განხორციელების შედეგად საგადასახადო შეთანხმებების პროცესები გახდა ავტომატური.

2024 წლის განმავლობაში, სასაქონლო ექსპერტიზის პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით, მომზადდა სასაქონლო ექსპერტიზის მოდულის პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკურ დოკუმენტი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის მიერ პროგრამული უზრუნველყოფა.

დროებით ამოუღებადი დავალიანების მქონე საწარმოების დამფუძნებელთა მიერ დაფუძნებული კომპანიების იდენტიფიცირების და ადმინისტრირების პროგრამის შემუშავება მოიცავს ორი მიმართულებით მოდულის შექმნას: იმ პირთა პროგრამულად იდენტიფიცირების მიზნით, რომელთაც შესაძლოა მიენიჭოთ დროებით ამოუღებადი დავალიანების სტატუსი და „დროებით ამოუღებადი დავალიანების“ სტატუსის მქონე გადამხდელებთან უშუალოდ დაკავშირებული იურიდიული და ფიზიკური პირთა წრის გამოსავლენად.

აღიარებული საგადასახადო დავალიანების წარმოშობის/ზრდის პრევენციისთვის მნიშვნელოვანია არამხოლოდ კონკრეტული გადამხდელის ქცევის შესწავლა, არამედ მასთან დაკავშირებული პირის ქცევის ანალიზი და ქცევის მონიტორინგი სპეციალური პრევენციული ღონისძიებების დაწესებით. პროექტის ფარგლებში ხორციელდება შესაბამისი კრიტერიუმების შემუშავება, რომელთა საშუალებითაც პროგრამულად განხორციელდება „დროებით ამოუღებადი დავალიანების“ სტატუსის მქონე გადასახადის გადამხდელთა და მათთან დაკავშირებული პირთა წრის განსაზღვრა, მათი ქცევის ანალიზი და პრევენციული სახის მიდგომების ჩამოყალიბება.

2024 წლის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში, ორივე მიმართულებით განხორციელდა პროგრამული მოდულის შექმნის ტექნიკურ დოკუმენტის მომზადება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის მიერ პროგრამული უზრუნველყოფა. პროექტის კომპლექსურობისა და ლოგიკური პროცესების სირთულიდან გამომდინარე პროექტის შესრულების ვადები დაკორექტირდა. შესაბამისად პროგრამული უზრუნველყოფის შემდგომი ტესტირება/ოპტიმიზაცია განხორციელდება 2025 წელს.

5. დაინტერესებულ პირთა საჭიროებაზე მორგებული სერვისების განვითარება

5.1 აქტივობა - უკუკავშირის სისტემის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

- ✓ ვალის მართვის დეპარტამენტისთვის უკუკავშირის სისტემა დანერგილია;
- ✓ საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტისთვის უკუკავშირის სისტემა დანერგილია;
- ✓ შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ განცხადებებზე უკუკავშირის სისტემა დანერგილია.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

უკუკავშირის სისტემის დანერგვა გულისხმობს მომხმარებელთა შეფასებებისა და რეკომენდაციების მიღებას მათ მიერ მიღებულ სერვისსა ან ინფორმაციასთან დაკავშირებით. აღნიშნული პროექტის მეშვეობით სამსახურს ექნება სერვისების განვითარების პროცესში მომხმარებელთა ჩართულობის უზრუნველყოფის და სამსახურის მიერ შეთავაზებული სერვისების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობა.

2024 წლის განმავლობაში პროექტის ფარგლებში განხორციელდა ვალის მართვის დეპარტამენტის და ელექტრონული განცხადებების არსებული პროცედურების შესწავლა, იმ მიმართულებების იდენტიფიცირება, სადაც კომუნიკაცია მყარდება შემოსავლების სამსახურსა და მომხმარებელს შორის, უკუკავშირის მიღების ეფექტური მეთოდის შერჩევა, უკუკავშირით მიღებული ხარვეზის გამოსწორებისათვის პასუხისმგებელი ჯგუფის შერჩევა, უკუკავშირით მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება სამუშაო პროცესში, ტექნიკური დავალების მომზადება და უკუკავშირის სისტემის პროგრამული მოდულის შექმნა.

პროექტის დასრულების შედეგად ვალის მართვის დეპარტამენტისა და შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ განცხადებებზე უკუკავშირის სისტემა დანერგილია. რაც შეეხება პროექტის მესამე მიმართულებას, საგადასახადო მონტორინგის დეპარტამენტისთვის უკუკავშირის სისტემის დანერგვას, განხორციელდება „გამავალი სატელეფონო ზარების დანერგვის“ პროექტის ფარგლებში.

5.2 აქტივობა - სამსახურის სერვისების ბიზნესის პროცესების ოპტიმიზაციისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის მექანიზმების შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

- ✓ სერვისების გამოყენების სახელმძღვანელოები/ვიდეო გიდები სერვისების 60%-ზე შემუშავებულია;
- ✓ სერვისის მიწოდების სახელმძღვანელოები და ბიზნესის პროცესის რუკები სერვისების 60%-ზე შემუშავებულია.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

2024 წელს განსახილველი სერვისების სამუშაოები დასრულებულია. 2024 წლის განმავლობაში დასამუშავებელი სერვისების მიწოდებისა და მოხმარების სახელმძღვანელოები შემუშავებულია 272 სერვისზე:

კერძოდ:

განხორციელებული ღონისძიება	სერვისების რაოდენობა
მოხმარების სახელმძღვანელო	70 სერვისი
მიწოდების სახელმძღვანელო	48 სერვისი
BPMN (ბიზნეს პროცესების რუკა)	57 სერვისი
საინფორმაციო ველი	97 სერვისი

5.3 აქტივობა - ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის სტრუქტურისა და დიზაინის ცვლილება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

- ✓ ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის ახალი სტრუქტურა შემუშავებულია, ახალი დიზაინი მომზადებული და დაინტერესებულ პირებთან გატესტილია;
- ✓ საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის მიერ ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის ახალი სტრუქტურისა და დიზაინის ცვლილების დანერგვა დაწყებულია.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

2024 წლის განმავლობაში, დაინტერესებული პირებიდან (შიდა და გარე მომხმარებლებიდან) მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და ინდივიდუალური ანალიზის საფუძველზე, დაიდენტიფიცირდა ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე განსახორციელებელი ცვლილებები და განახლებები, შემუშავდა ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის ახალი სტრუქტურა, მომზადდა ახალი დიზაინი და დასრულდა ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის ახალი პროტოტიპის სატესტო რეჟიმში შემოწმება. ცვლილებების პროგრამული უზრუნველყოფის მიზნით, საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრს მიეწოდა დავალებები.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრში, პროექტის ფარგლებში, ჯამურად გაგზავნილი 160-ზე მეტი მოთხოვნიდან, სხვადასხვა მოდულებში თუ ელექტრონულ ფორმებში ცვლილების განხორციელების მიზნით, შესრულებულია 70%.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრისთვის, პროექტის ფარგლებში, გადაცემული ტექნიკური დავალებების აღრიცხვა განხორციელდა google.sheets-ის ფორმაზე. რაც მიზნად ისახავს, ჩართული მხარეების ინფორმირებას დროის რეალურ რეჟიმში, ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრში, გაგზავნილი დავალებების მონიტორინგს.

ამ ეტაპზე, საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრში ტექნიკური სამუშაოების პარალელურად მიმდინარეობს ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე განთავსებული ელექტრონული ფორმებისა და მოდულებისთვის

მართვის სახელმძღვანელოებისა და განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით საინფორმაციო ღონისძიებების მომზადება.

პროექტის ფარგლებში, ასევე, ხორციელდება თანამშრომლის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდთან, eservices.rs.ge/emp-თან დაკავშირებული ცვლილებების საჭიროებების იდენტიფიცირება.

აღსანიშნავია, რომ ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის სტრუქტურისა და დიზაინის ცვლილების პროექტი მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებზე უფრო მეტად მორგებას. აღნიშნული კუთხით, იდენტიფიცირებული განსახორციელებელი ცვლილებების ანალიზის შედეგად, 2024 წელს შემუშავდა ახალი პროტოტიპი.

2024 წელს, პროექტის ფარგლებში, ასევე მომზადდა: erervices.rs.ge-ს მენიუების და სამუშაო დაფის სტრუქტურული და ფუნქციონალური მოწყობის ცვლილებები, VAT Portal-ის (უცხოელი დასაბეგრი პირის პორტალის) განახლებული სტრუქტურისა და დიზაინის ცვლილები და ცვლილებების დოკუმენტი, რომლებიც პროგრამული უზრუნველყოფის მიზნით, გადაეცა საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრს.

ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის მომხმარებელთა მრავალფეროვნებიდან და მრავალრიცხოვნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ცვლილებები განხორციელდეს ეტაპობრივად და თანმიმდევრულად, რათა დაინტერესებულმა პირებმა მარტივად შეძლონ ადაპტაცია განხორციელებულ ცვლილებებთან.

5.4 აქტივობა - გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე შეღავათის უფლებით მოსარგებლე ფიზიკური პირებისთვის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების პროცედურის გამარტივება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

- ✓ ყველა პარტნიორ უწყებასთან გაფორმებულია ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი;
- ✓ მესამე მხარესთან ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება ავტომატურ რეჟიმში;
- ✓ შექმნილი და დატესტილია ზედმეტად გადახდილი თანხების ავტომატურად დაბრუნების პროგრამული მოდული.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

2024 წელს, მიმდინარეობდა და დასრულდა პროექტის პირველი ეტაპით განსაზღვრული ღონისძიებები, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა შეღავათით მოსარგებლე პირთათვის თანხის ავტომატურად დაბრუნების სერვისის ლოგიკები. განხილულ იქნა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროებები და მომზადდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი.

აქტიური კომუნიკაცია მიმდინარეობდა მესამე მხარეებთან. ინფორმაციის მიღების მიზნით მომზადდა და შესაბამის მხარეებს გაეგზავნა მემორანდუმების პროექტები და დანართები. მოლაპარაკების პროცესი მიმდინარეობდა 2 პარტნიორ უწყებასთან, სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოსთან და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან. მიღებულია მათი უკუკავშირი.

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, დამუშავდება სამართლებრივი საფუძვლები და 2025 წლიდან გაგრძელდება მოლაპარაკების პროცესი. ასევე, მესამე მხარეებიდან მონაცემების მიღების მიზნით, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაიგზავნება კიდევ 3 უწყებაში:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

2. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;

3. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო.

პროექტის მასშტაბურობიდან გამომდინარე, პროცესები გაგრძელდება 2025 წელს განახლებული აქტივობებით და შესრულების ინდიკატორებით.

5.5 აქტივობა - საკონსულტაციო და საინფორმაციო სამმართველოს სატელეფონო ცენტრის ტექნიკური გადაიარაღება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

- ✓ სატელეფონო ცენტრში არსებული ავაიას სისტემა ჩანაცვლებულია ასტერიქსით;
- ✓ ზარის განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობები შეძენილია;
- ✓ პროგრამული უზრუნველყოფა განახლებულია.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

2024 წლის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში, განხორციელდა სამართლებრივი ანალიზი და ცვლილებების საფუძველზე, შესაბამის ნორმატიულ აქტებში ზარის მიმღები პირის უფლებამოსილების განსაზღვრა, კომუნიკაციის სტანდარტის დადგენა, გადამხდელის უკუკავშირის წესის განსაზღვრა და გამავალი ზარების შეფასების სისტემის ჩამოყალიბება. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრისგან (112-ის) ,,ასტერიქსის" პროგრამის მიღება-დანერგვის მიზნით, შესაბამისი სერვერის შეძენა და ტექნიკური დავალების დოკუმენტის მომზადება ,,ასტერიქსის" პროგრამაზე გამავალი სატელეფონო ზარების ახალი ფუნქციონალის დამატების, გასს-ში არსებული პროგრამული მოდულების ინტეგრირებისა და გამავალ სატელეფონო ზარზე უკუკავშირის სისტემის შექმნის მიზნით. ასევე, შემუშავდა სამართლებრივ დოკუმენტებში შესატანი შესაბამისი ცვლილებების დოკუმენტი და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის მიერ განხორციელდა პროგრამული უზრუნველყოფა.

პროექტის განხორციელების შედეგად, გამავალი სატელეფონო ზარების სისტემის ტექნიკური პროცესის გამართვისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა შეძენილი, დამონტაჟებული და გამართულია. სისტემაში ინტეგრირებულია გასს-ში არსებული პროგრამული მოდულები (დავალებების მართვის ელექტრონული სისტემები). შემოსავლების სამსახურის უფროსის 2024 წლის 10 ოქტომბრის №22092 ბრძანებით, დამტკიცებულია „კომუნიკაციის სტანდარტი შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთათვის". ასევე, დამტკიცებულია „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანების ცვლილები.

პროგრამული უზრუნველყოფის შემდგომი ტესტირება/ოპტიმიზაცია და თანამშრომელთა გადამზადება განხორციელდება 2025 წელს.

6. საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების გაუმჯობესება

6.1 აქტივობა - შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის (გასს) მოდერნიზაცია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

- ✓ გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის (გასს) პრიორიტეტული მოდულების 30%-ის ახალ სისტემაში გადაწერა განხორციელებულია.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

2024 წლის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში, საწყის ეტაპზე შესწავლილ იქნა მისი განხორციელების რამდენიმე ტექნიკური შესაძლებლობა და მსოფლიო ბაზარზე არსებული პრაქტიკები და გამოცდილებები, ასევე მოხდა პროგრამირების სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოცდა, საპილოტე რეჟიმში ინტეგრაცია, ტესტირება და დაკვირვება საუკეთესო მიმართულებების იდენტიფიცირებისთვის. შედეგად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აღნიშნული პროექტის ორ ნაწილად გაყოფისა და ორი მიმართულებით წარმართვის თაობაზე:

ერთი მიმართულებად შეირჩა გასს-ის ვერსიის აწევა 12C ვერსიაზე, რაც უფრო მყისიერ რეაგირებასა და ბიზნეს პროცესების უწყვეტობის საფრთხეების დაუყოვნებელ აღმოფხვრას ემსახურება;

მეორე მიმართულებად შეირჩა გასს-ის მოდულების საფუძვლიანი გადამუშავება, რაც ხელახალ დეველოპმენტსა და ვებ ტექნოლოგიაზე გადაყვანას მოიცავს. აღნიშნული მიმართულება გაცილებით უფრო ხანგრძლივ პერსპექტივაზე ორიენტირებული ნაწილია.

პროექტის განხორციელების შედეგად ამ ეტაპზე გასს-ის არსებული ვერსია გადაწერილია 12C ვერსიაზე და განხორციელდა კონკრეტული სტრუქტურული ქვედანაყოფისთვის შერჩეული 130 ფორმის კომპილირება (დეველოპერის მიერ), რომლის პირველადი გაშვებაც დაგეგმილია eGEZ-ის რიგი თანამშრომლებისთვის. შემდეგში ეტაპობრივად დაგეგმილია ამ პროცესში სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების თანმიმდევრული ჩართვა. ვინაიდან ამ ეტაპზე ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურსა და შემოსავლების სამსახურში მიმდინარეობს ტექნიკური გადაიარაღება, ზემოხსენებული 130 ფორმის ტესტირების პროცესი დროებით შეჩერებულია და განახლდება აღნიშნული ტექნიკური გადაიარაღების დასრულებისთანავე.

აღნიშნულთან ერთად წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა ხშირად გამოყენებული მოდულების ვებ ტექნოლოგიაზე გადაწერაზე, რა ნაწილშიც: ბექის და ფრონტის არქიტექტურა განსაზღვრულია, ძირითადი კომპონენტები შემუშავებულია, გამოსაყენებელი კომპონენტების დიზაინი შექმნილია, ფუნქციონალი განსაზღვრულია. ასევე შექმნილია დეველოპმენტ და პროდაქშენ გარემოები. სისტემაში ავტორიზაციის გვერდი, პაროლის აღდგენის გვერდი, პირველადი რეგისტრაციის გვერდი, პირადი ინფორმაციის დათვალიერების, რედაქტირების და სისტემის ცენტრალური გვერდი შექმნილია. მოდულების არჩევის, პრიორიტეტიზაციის, ეკრანზე სასურველი კონფიგურაციის მოწყობის ფუნქციონალი შექმნილია. მიმდინარეობს გადამხდელის ფაილის და განცხადებების "ბექ" გვერდის პროგრამულ უზრუნველყოფაზე მუშაობა. ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით ამ ორი მოდულის გაშვება ახალ ვებ პლატფორმაზე მოხდება 2025 წლის მარტში.

<u>6.2 აქტივობა - საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრში IT პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დანერგვა</u>
პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური
შესრულების მაჩვენებელი:

- ✓ პროექტის მენეჯერების გადამზადება IT პროექტების მართვის მეთოდოლოგიაში განხორციელებულია და მიმდინარე პროექტები პროექტის მენეჯერებს შორის გადანაწილებულია;
- ✓ პროგრამული უზრუნველყოფა JIRA ადაპტირებულია IT პროექტების მართვის მეთოდოლოგიასთან;
- ✓ IT პროექტების მართვის მეთოდოლოგია საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრში დანერგილია;

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

2024 წლის განმავლობაში პროექტის ფარგლებში - შემუშავებულ იქნა საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრში პროექტების მართვის ერთიანი მეთოდოლოგია და სახელმძღვანელო, IT პროექტის მენეჯერების გადამზადდნენ ახალ მეთოდოლოგიაში, პროექტები გადანაწილდა პროექტის მენეჯერებს შორის, შემუშავებულ იქნა JIRA-ს გამოყენების ინსტრუქცია, რომელიც შესაბამისობაშია პროექტების მართვის მეთოდოლოგიასთან.

პროექტის განხორციელების შედეგად IT პროექტების მართვა ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად ფუნქციონირებს საპილოტე რეჟიმში.

7. ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა

7.1 აქტივობა - ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის განახლება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

- ✓ ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობა სრულად მიღწეულია;
- ✓ უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელსაწყოები დანერგილია;
- ✓ საგადასახადო ინფორმაციის ავტომატური გაცვლის პროექტისთვის მონაცემთა უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის კომპონენტის შემფასებლების მიერ გაცემული რეკომენდაციები შესრულებულია და მონაცემების ავტომატური მიმოცვლა დაწყებულია.

პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

2024 წლის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში, ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობის გაუმჯობესების მიზნით:

დამტკიცდა ინფორმაციული უსაფრთხოების შემდეგი დოკუმენტები:

ინფორმაციული აქტივების აღწერის მეთოდოლოგია,

ინფორმაციული აქტივების კლასიფიცირების მეთოდოლოგია,

მობილური და პორტატული მოწყობილობების მართვისა და უსაფრთხოების პროცედურა,

შემოსავლების სამსახურის ორგანიზაციული კონტექსტი.

ინფორმაციული აქტივების აღწერის და კლასიფიცირების ახალი მეთოდოლოგიების მიხედვით, განახლდა ინფორმაციული აქტივების რეესტრი და მოხდა აღნიშნული აქტივების კლასიფიცირება კრიტიკულობის მიხედვით.

შემუშავდა ინფორმაციული უსაფრთხოების ახალი დოკუმენტების პროექტები:

ადამიანური რესურსების უსაფრთხოების მართვის პროცესი,

შიდა აუდიტის პროცედურა,

სუფთა მაგიდისა და ეკრანის პოლიტიკა.

მიმდინარეობს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების ძირითად საკითხებში თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების საბაზისო კურსი და გამოცდა.

დაწყებულია მუშაობა მსოფლიო ბანკის შეფასების მისიის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე.

აღნიშნული პროექტი გახანგრძლივდა 2025 წლის ბოლომდე, „პირველი და მეორე კატეგორიების კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტებისთვის ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების დადგენის შესახებ" საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ–საქართველოს ოპერატიულ-

ტექნიკური სააგენტოს უფროსის 2021 წლის 21 დეკემბრის №35 ბრძანებაში შესული ცვლილების გათვალისწინებით.

7.2 აქტივობა - მონაცემთა დაკარგვის პრევენციის გადაწყვეტილების დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

- ✓ მონაცემთა დაკარგვის პრევენციის გადაწყვეტილების დანერგვა წარმატებით განხორციელდა;
- ✓ დაწყებულია სისტემაში არსებული მონაცემების მონიტორინგი.

პერიოდი: იანვარი- მარტი

2024 წლის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში, წარმატებით განხორციელდა მონაცემთა დაკარგვის პრევენციის გადაწყვეტილების დანერგვა. ბიზნეს პროცესების შეფერხებების თავიდან აცილების მიზნით, პირველ ეტაპზე ხელსაწყოს კონფიგურაცია განხორციელდა გამაფრთხილებელი შეტყობინებების გამოგზავნის ფუნქციით, მკაცრი შეზღუდვების დაწესების გარეშე და მიმდინარეობდა მიღებული მონაცემების მონიტორინგი სატესტო რეჟიმში.

პროექტი დასრულდა განსაზღვრულ ვადაში, ხელსაწყო წარმატებით დაინერგა. ხელსაწყოს სპეციფიკისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით, იმისთვის რომ შევძლოთ მისი ფუნქციონალის სრულად გამოყენება და ეტაპობრივი შეზღუდვების დაწესების რეჟიმზე გადასვლა, მიმდინარეობს შესაბამისი კვალიფიკაციის თანამშრომლის მოძიება. ხელსაწყოს ლიცენზიის გაგრძელების შემთხვევაში, პროექტი გახდება ყოველდღიური ოპერაციების ნაწილი, რომელსაც მართავს კომპიუტერული უსაფრთხოების სპეციალისტი.

8. ორგანიზაციული რისკების მართვის სისტემის განვითარება

8.1 აქტივობა - ოპერაციული რისკების სისტემის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

- ✓ შემუშავებულია სამსახურის არანაკლებ 5 დეპარტამენტის ოპერაციული რისკების რეესტრი.

პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

2024 წელს, განახლდა ოპერაციული რისკების რეესტრის ფორმა. აღნიშნული ფორმით განახლდა და დამტკიცდა ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის, საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის დეპარტამენტის, იურიდიული დეპარტამენტის და საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის ოპერაციული რისკების რეესტრები.

შემუშავდა დავების დეპარტამენტის, მეთოდოლოგიის დეპარტამენტის, სამსახურებრივი მონიტორინგის დეპარტამენტის, ფინანსური დეპარტამენტის, მომსახურების დეპარტამენტის და ვალის მართვის დეპარტამენტის ოპერაციული რისკების რეესტრები.

თითოეული სტრუქტურული ქვედანაყოფის მენეჯერების მიერ რეგულარულად განხორციელდება რეესტრში ასახული რისკების შესამცირებლად არსებული კონტროლების ეფექტიანობის მონიტორინგი, პერიოდული ანგარიშგება და საჭიროების შემთხვევაში ოპერაციული რისკების რეესტრში ცვლილებების ინიცირება და განახლება.

9. ევროკავშირთან ინტეგრაციული პროცესების მხარდაჭერა

9.1 აქტივობა - ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS) საერთაშორისო დონეზე დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური
შესრულების მაჩვენებელი:

- ✓ ტრანზიტის სისტემის საერთაშორისო დონეზე ფუნქციონირების მიზნით ტრანზიტის საერთო კონვენციის შესაბამისი საკანონმდებლო/კანონქვემდებარე აქტები შემუშავებულია;
- ✓ საბაჟო დეპარტამენტის მინიმუმ 50 თანამშრომელი გადამზადებულია;
- ✓ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულ პირებთან განხორციელებულია;
- ✓ ტრანზიტის სისტემა გამოიყენება CTC კონვენციის ხელშემკვრელ არანაკლებ ერთ მხარესთან;
- ✓ საქართველო მიერთებულია „ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ“ (Common Transit Convention / CTC) და „საქონლით ვაჭრობაში ფორმალობების გამარტივების შესახებ“ (Single Administrative Document / SAD) კონვენციებზე.
- ✓ ტრანზიტის აპლიკაცია საერთაშორისო დონეზე დანერგილია.

პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

2024 წლის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში, დასრულდა ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ“ (Common Transit Convention / CTC) და „საქონლით ვაჭრობაში ფორმალობების გამარტივების შესახებ“ (Single Administrative Document / SAD) კონვენციებზე მიერთების პროცედურა. ასევე, დასრულდა სისტემის შესაბამისობის ტესტირების 3 ფაზა, რაც გულისხმობს ევროკომისიის მიერ წინასწარ შერჩეულ კონვენციის წევრ ქვეყნებს (საქართველო, თურქეთი, ბულგარეთი, ჩეხეთი და ავსტრია) შორის ტრანზიტის დეკლარაციის შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაცვლას. 2024 წლის ოქტომბერში, კონვენციასთან მიერთების მიზნით, საქართველომ მიიღო მოწვევა და შეერთების ინსტრუმენტი გაიგზავნა კონვენციის დეპოზიტორთან (ევროპის საბჭო). გაიმართა შეხვედრები ბანკებთან და სადაზღვეო კომპანიებთან.

განხორციელებული მონიტორინგის მისიების ფარგლებში:

გაცემულია დადებითი რეკომენდაცია ქვეყნის საერთო ტრანზიტის კონვენციასთან CTC მიერთებისა და ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS) საერთაშორისო დონეზე გამოყენების მზაობაზე;

გაცემულია დადებითი რეკომენდაცია რათა საქართველო მიწვეულ იქნეს კონვენციის წევრ ქვეყნად.

პროექტის განხორციელების შედეგად 2025 წლის 1 თებერვალს კონვენციასთან შეერთება შედის ძალაში.

<u>9.2 აქტივობა - ევროკავშირის საგადასახადო და საბაჟო პროგრამაში ჩართულობა</u>
პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური
შესრულების მაჩვენებელი:

- ✓ საგადასახადო და საბაჟო პროგრამების ფარგლებში სულ მცირე 7 აქტივობა განხორციელებულია შემდეგი მიმართულებებით: სახვადასხვა ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარება, თანამშრომლობის გაუმჯობესება, ადამიანური რესურსების განვითარება, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება და სხვა;

პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

საგადასახადო პროგრამა (ფისკალის)

2024 წლის მდგომარეობით, საგადასახადო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 10 აქტივობაში ჩართულობა. მათ შორის:

ესპანეთის ქ. მადრიდში ჩატარებულ „საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციებისა (ტრანსფერფრაიზინგი) და ფინანსური ტრანზაქციების“ შესახებ სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის ერთმა წარმომადგენელმა;

ავსტრიის საგადასახადო ორგანოში სამუშაო ვიზიტი განხორციელდა შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით: BEPS-ის, ფინანსური სექტორის საგადასახადო შემოწმების და სხვა საკითხების შესახებ ავსტრიელი კოლეგების გამოცდილების გაზიარების მიზნით;

ლიეტუვის საგადასახადო ორგანოში სამუშაო ვიზიტი განხორციელდა შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით: CRS-თან დაკავშირებით ლიეტუველი კოლეგების გამოცდილების გაზიარების მიზნით;

ITTI – IT ტექნოლოგიების და ინფრასტრუქტურის სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში ჩართულობა;

მოლდოვის საგადასახადო ორგანოში სამუშაო ვიზიტი, რომელიც განხორციელდა CRS-ის ფარგლებში შვედი და მოლდოველი კოლეგების გამოცდილების გაზიარების მიზნით;

სამუშაო ჯგუფში ჩართულობა, ევროკავშირის მცირე და საშუალო ზომის ბიზნესის (SME) დღგ-ის სქემის ფარგლებში, უნგრეთში;

სერვისების განვითარების მეთოდოლოგიის მიმართულებით გამოცდილების გაზიარების მიზნით სამუშაო ვიზიტი ესტონეთში;

სამუშაო ჯგუფში ჩართულობა, ევროკავშირის მცირე და საშუალო ზომის ბიზნესის (SME) დღგ-ის სქემის ფარგლებში, პოლონეთში;

ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ გამოცდილების გაზიარების მიზნით სამუშაო ვიზიტი უნგრეთში;

საგადასახადო დავალიანების ამოღების საერთაშორისო დახმარების შესახებ გამოცდილების გაზიარების მიზნით სამუშაო ვიზიტი პოლონეთში;

ევროკავშირის 2021–2027 წლების საბაჟო პროგრამის ფარგლებში მიღებული გრანტიდან დაფინანსდა 4 ღონისძიება, რომლებიც მიზნად ისახავდა საბაჟო სფეროში ევროკავშირის გამოცდილების გაზიარებას, საბაჟო პროგრამის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებსა და NCTS-ს თემაზე ევროკომისიის საგადასახადო და საბაჟო გაერთიანების დირექტორატის მონიტორინგის საბოლოო მისიის მხარდაჭერას.

V - მაკროეკონომიკური ანალიზი და ფისკალური პოლიტიკა

1.1 მაკროეკონომიკური პროგნოზების ანალიზის გაუმჯობესება და ანალიტიკური ინფორმაციის გაზრდა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: კვარტალური პროგნოზირების მოდელზე (QPM) მუშაობა, ეკონომიკური აქტივობის გაფართოებული ანალიტიკური პროდუქტები, გაუმჯობესებული პროგნოზი, მაკროეკონომიკური ანალიზით მიღებული შედეგები, მონაცემთა დამუშავების გაფართოებული ცენტრალიზებული სისტემა

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: გრძელდება დღგ-ს გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ანალიზი დარგების ჭრილში. ასევე, საბაჟოს ოპერატიული მონაცემების ანალიზის შედეგად ხდება საგარეო ვაჭრობის ტენდენციების შეფასება. იხვეწება მონაცემთა დამუშავების სისტემა, რათა ოპერატიულად განხორციელდეს ინფორმაციის მიღება-დამუშავება. ხდება ყოველთვიური ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებლის შეფასება და ფაქტობრივიდან გადახრის მიზეზების ანალიზი, პროგნოზის დახვეწის მიზნით. შეიქმნა ნახევრადსტრუქტურული მაკროეკონომიკური მოდელი (QPM) კვარტალური პროგნოზირებისთვის, მოხდა მისი მორგება საქართველოს მონაცემებზე და დაიხვეწა მოდელის პროგნოზის უნარი და შოკების ინტერპრეტაცია. გრძელდება მოდელის კიდევ უფრო დახვეწა და გაფართოება.

1.2 ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტენდენციების შესახებ ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული პერიოდული ინფორმაცია ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: სამინისტროს ვებ-გვერდზე ქვეყნდება როგორც ყოველთვიური, ასევე - კვარტალური მიმოხილვები. გრძელდება ეკონომიკური ტენდენციების ანალიზის გაუმჯობესება-დახვეწა სხვადასხვა ანალიტიკური თუ ვიზუალური მაჩვენებლების გამოყენებით. ხდება ფულადი გზავნილების შესახებ ყოველთვიური და ტურიზმის შესახებ კვარტალური ანალიზი და ძირითადი ტენდენციების გამოვლენა. ასევე ხდება საერთაშორისო ვაჭრობის ანალიზი ყოველთვიურად. მიმდინარეობს ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება, რაც მორგებულია ინტერესეთა ცალკეულ ჯგუფებზე, მათ შორის საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოებებსა და ინვესტორებზე.

1.3 მაკროეკონომიკური კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული კვლევითი ნაშრომები

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: აღნიშნულ პერიოდში სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა საგადასახადო დანახარჯების გავლენის შეფასების ანგარიში. მიმდინარე წელს დაიწყო და კვლავ მიმდინარეობს „მთლიანი შიდა პროდუქტის პოტენციური დონის შეფასების“ კვლევით პუბლიკაციაზე მუშაობა. ამასთან, ბიუჯეტის “ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების” დოკუმენტში დამატებულია ქვეთავი სტრუქტურული ბიუჯეტის შესახებ და იგეგმება აღნიშნული ნაშრომის გამოქვეყნებაც კვლევითი პუბლიკაციის სახით. გრძელდება ნახევრადსტრუქტურული მაკროეკონომიკური მოდელის (QPM) დახვეწა ეკონომიკური ინდიკატორების შეფასების მიზნით და დასრულების შემდეგ ასევე იგეგმება მისი გამოქვეყნება.

1.4 ეკონომიკის განვითარებაზე მოქმედი შოკების ანალიზი, სცენარების შედგენა და მაკროეკონომიკური რისკების შეფასება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: მაკროეკონომიკური რისკების განახლებული ანალიზი, DSGE მოდელის გამოყენებით სხვადასხვა პოლიტიკური სცენარის ანალიზი

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: შემუშავებულია ნახევრადსტრუქტურული მაკროეკონომიკური მოდელი (QPM), სადაც დაიხვეწა შოკების ინტერპრეტაცია, რაც ეკონომიკის სხვადასხვა შოკებისა და სცენარების შედგენისა და ანალიზის, ასევე მისი შესაძლო შედეგების უკეთ ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. შემუშავებულია სხვადასხვა ე.წ სატელიტური მოდელი, რაც სხვადასხვა ცვლადის ურთიერთკავშირსა და შოკის სიდიდეებს განსაზღვრავს. გრძელდება ბიუჯეტისთვის მოსალოდნელი რისკების ანალიზი და შესაბამისი "Heatmap"-ის გამოყენება.

1.5 სტრეს-ტესტების ანალიზი

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: DSGE მოდელის გამოყენებით სხვადასხვა სტრეს-ტესტის ანალიზი

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარე პერიოდში სტრეს-ტესტის ანალიზი განხორციელდა როგორც DSGE მოდელის გამოყენებით, ასევე - QPM მოდელის გამოყენებით და ასახავს ეკონომიკაზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორების ცვლილების შესაძლო მაკროეკონომიკურ გავლენებს.

1.6 საშუალოვადიანი ფისკალური პოლიტიკის შემუშავება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საშუალო ფისკალური პოლიტიკის დოკუმენტი, შემოსავლების საშუალოვადიანი სტრატეგიული ხედვის (MTRS) შემუშავება, ეკონომიკური რეფორმის პროგრამების (ERP) დოკუმენტის მომზადება

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარე პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტთან და შემოსავლების სამსახურთან ერთად შემოსავლების საშუალოვადიანი სტრატეგიული ხედვის (MTRS) შემუშავებაზე და დახვეწაზე, რომელიც დაიწყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში. აღნიშნული დოკუმენტი გამოქვეყნებულია ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე. ამასთან, მომზადდა ეკონომიკური რეფორმის პროგრამების (ERP) 2025-2027 დოკუმენტის ქართული ვარიანტი, რომელიც 2025 წლის 15 იანვარს ევროკომისიისათვის გაგზავნილი დოკუმენტის ინგლისური

ვარიანტის საფუძველს წარმოადგენს. დოკუმენტი მოიცავს როგორც ფაქტობრივ მაჩვენებლებს, ასევე - ქვეყნის საშუალოვადიანი პოლიტიკის ძირითად მაჩვენებლებსა და მიმართულებებს. 2025 წლის ბიუჯეტის კანონპროექტისთვის განახლდა მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზი, ასევე - მაკროეკონომიკური პოლიტიკის ამოცანები და მაკროეკონომიკური პროგნოზების შედარების დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტები გამოქვეყნდა ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

1.7 სოციალურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების შეფასებასა და სტრატეგიების შემუშავებაში მონაწილეობა მაკროეკონომკური პროგნოზირების კუთხით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: სოციალურ-ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა გავლენა მაკრო-ფისკალური მაჩვენებლებზე

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: შემუშავდა მაკროეკონომიკური პროგნოზები ბიუჯეტის კანონის პროექტის წარდგენისთვის.

1.8 ქვეყნის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესების მიზნით სტრატეგიის დამუშავების კოორდინაცია და საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან ურთიერთობის კოორდინაცია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: სტრატეგიის საბოლოო ვერსიის შემუშავება

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: გრძელდება აქტიური კომუნიკაცია საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან, როგორიცაა Fitch, Moody's და S&P. მიმდინარე წლის განმავლობაში განხორციელდა პირისპირ შეხვედრები სარეიტინგო კომპანიებთან, რის ფარგლებშიც მოხდა საჭირო ინფორმაციის მიმოცვლა და საქართველოს სუვერენული რეიტინგის განახლება. კალენდრით გათვალისწინებული პერიოდის გარდა, ელექტრონული ფორმითა და სატელეფონო საუბრის საშუალებით გრძელდება აქტიური კომუნიკაცია სარეიტინგო კომპანიების წარმომადგენლებთან, საქართველოს ძირითადი ეკონომიკური ტენდენციების შესახებ მათი მუდმივი ინფორმირების მიზნით. მიმდინარე პერიოდის ბოლოსთვის საქართველოს სუვერენული რეიტინგები შემდეგია: Fitch BB ნეგატიური, S&P BB სტაბილური, Moody's Ba2 სტაბილური.

1.9 საგადასახადო დანახარჯების შესაფასებლად მონაცემების დამუშავება და ანალიზი, შეფასების არეალის გაზრდა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საგადასახადო დანახარჯების შეფასების ანალიზის მომზადება, საგადასახადო დანახარჯების გავლენის შეფასების ანგარიშის შემუშავება

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: დეპარტამენტის მიერ შემუშავებული საგადასახადო დანახარჯების შეფასების ანალიზის დოკუმენტში გამოყენებული მეთოდების მიხედვით განახლდა და ბიუჯეტის კანონს თან გაყვა საგადასახადო დანახარჯების შეფასების ანგარიში, რაც განახლებულია 2023 წლის მონაცემებით. ამასთან, იგეგმება საგადასახადო დანახარჯების შესაფასებლად არეალის მეტად გაზრდა და გაფართოება.

2.1 ერთიანი და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების მომზადება, ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების არსებული მეთოდოლოგიის დახვეწა და ალტერნატიული მეთოდოლოგიის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: გაუმჯობესებული პროგნოზი, ალტერნატიული მეთოდოლოგიის გაუმჯობესება

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: გრძელდება როგორც მთლიანად საგადასახადო შემოსავლების, ისე ცალკეული გადასახადის (მათ შორის: დღგ, აქციზი, საბაჟო, საშემოსავლო, მოგების და ქონების გადასახადის) ელასტიურობის კოეფიციენტების შეფასება მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ, როგორც მოკლევადიანი, ისე - გრძელვადიანი პერიოდისთვის.

2.2 სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სამუშაოთა ორგანიზება და მონაცემთა გავრცელება ქვეყანაში მიღებული სტატისტიკური მეთოდოლოგიით და საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციათა გათვალისწინებით. ევროპული აღრიცხვის სტანდარტის (ESA) და ევროპის სტატისტიკური სტრუქტურების მუშაობის სპეციფიკის გაცნობა და ამ მიმართულებებით ადამიანური შესაძლებლობების და ცნობიერების ამაღლება.

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: გამოქვეყნებული ანგარიშები

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: ყოველწლიურად ხორციელდება საჯარო ფინანსების აღრიცხვის დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტებთან მორგება. აღნიშნული ინფორმაცია ქვეყნდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე როგორ წლიური, აგრეთვე - კვარტალური და თვიური სიხშირით. ასევე, სამინისტროს ვებ-გვერდზე დაიწყო GFSM 2014 მეთოდოლოგიით განახლებული მონაცემების გამოქვეყნება. გარდა ამისა, ფინანსთა სამინისტროს მიერ მზადდება ანალიტიკური მონაცემები ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების შესახებ, რომელიც ქვეყნდება სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტებთან/კანონებთან ერთად. ამასთან, გრძელდება სამთავრობო სექტორისა და ცენტრალური მთავრობის ქვესექტორის საბალანსო ოპერაციების გამოქვეყნება 2019 წლის შემდგომი პერიოდიდან.

VI - ფისკალური რისკები

1.1 სახელმწიფო საწარმოთა შესახებ ყოვლისმომცველი სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური რისკების მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით შეიმუშავა და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის №573 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს სახელმწიფო საწარმოთა ყოვლისმომცველი რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგია. სახელმწიფო კორპორაციების/სახელმწიფო საწარმოების შესახებ კანონის პროექტის და მასთან დაკავშირებული კანონქვემდებარე აქტების შემუშავება აღნიშნული სტრატეგიის თანმდევია. 2024 წელს მოხდება საკანონმდებლო ინიციატივის სახით მისი საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენა.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: შემუშავებულია სახელმწიფო საწარმოების შესახებ კანონის კონცეპტუალური მოდელი.

1.2 სახელმწიფო საწარმოთა აქციონერის როლის პილოტირება საქართველოს ფინანსთა სამინისტროში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური რისკების მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: პილოტი საწარმოების 50%-იანი წილის მართვა. აქციონერის როლის შესრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კორპორაციულ მართვაში ხარვეზების გამოვლენა და აღმოფხვრა.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: საქართველოს მთავრობის 2023 წლის 10 მარტის N 475 განკარგულებით სახელმწიფო საწარმოთა ფლობის დუალისტური მოდელის პილოტირება მიმდინარეობს სს საქართველოს რკინიგზის, შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანების და შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიებში.

1.3 ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტის მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური რისკების მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საქართველო ფინანსთა სამინისტრო თან დაურთავს ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველ, მეორე და მესამე წარდგენებს. დოკუმენტში, სულ მცირე, შენარჩუნდება 2023 წლის სტანდარტი. ამასთან, დამატებით დაიხვეწება გრძელვადიანი ფისკალური რისკების ანალიზის მიმართულება.

პერიოდი: ივლისი - დეკემბერი

პროგრესი: ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი დაერთო საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს. დოკუმენტი მოიცავს სახელმწიფო საწარმოთა 2023 წლის ფინანსური შედეგების მიმოხილვას, სენსიტიურობის ანალიზს შერჩეული 5 მნიშვნელოვანი სახელმწიფო საწარმოსთვის, ინფორმაციას

საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების შესახებ, მათ შორის ენერგეტიკული სექტორიდან მომდინარე ფისკალური რისკების ანალიზს, კლიმატის ცვლილების გავლენას სახელმწიფო საწარმოთა ფინანსურ მაჩვენებლებზე. ასევე დოკუმენტს დაერთო განახლებული ინფორმაცია სასამართლო დავებიდან მომდინარე რისკების და სახელმწიფოს მიერ სასამართლო დავების აღსრულებაზე მიმართული სახსრების შესახებ.

ამასთან, ფინანსთა სამინისტროს მიერ სხვადასხვა დაშვებების საფუძველზე მომზადდა შეფასება გრძელვადიანი ფისკალური რისკების შესახებ და რეკომენდაციის სახით წარმოდგენილ იქნა შემსუბუქების ღონისძიებები. დემოგრაფიულ ცვლილებებთან დაკავშირებული რისკები შეფასდა ჯანდაცვის და საპენსიო ხარჯებთან კორელაციაში, ხოლო კლიმატის ცვლილებიდან წარმოშობილი სპეციფიკური ფისკალური რისკები, სცენარების სიმძიმის ზრდის პარალელურად, შეფასდა საჯარო ფინანსებზე გავლენის თვალსაზრისით.

ფისკალური რისკების შესახებ სახელმწიფო საწარმოთა აგრეგირებული ანგარიში გამოქვეყნებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე.

1.4 სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური ზედამხედველობა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური რისკების მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის №1012 განკარგულების სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური ზედამხედველობის განხორციელების წესის შესაბამისად, განკარგულებით განსაზღვრული საწარმოების კორპორაციული განზრახვის განაცხადის შეთანხმება.

პერიოდი: ოქტომბერი - დეკემბერი

პროგრესი: სახელმწიფო საწარმოებმა, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის №1012 განკარგულების შესაბამისად, დადგენილი ვადის გათვალისწინებით, ფინანსთა სამინისტროს შესათანხმებლად წარუდგინეს 2025 წლის კორპორაციული განზრახვის განაცხადები და 2025 წლის ბიზნეს-გეგმის პროექტები. მთავრობის განკარგულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სამინისტროს მხრიდან გაცემულ იქნა რეკომენდაციები განაცხადების შემდგომ დახვეწაზე და შედგა კონსულტაციები საბიუჯეტო პარამეტრების მოცულობასთან დაკავშირებით.

VII - სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარება

1.1 ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის განვითარება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ჰარმონიზაციის ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი:

1. შემუშავებული და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენილია სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების 2025-2028 წლების სტრატეგია და 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმა.

2. შემუშავებული და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენილია სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების შესახებ კონსოლიდირებული წლიური ანგარიში.

3. ყველა ცენტრალურ სამინისტროში შემუშავებულია რისკის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.

4. ყველა ცენტრალურ სამინისტროს გაფორმებული აქვს საბიუჯეტო პროგრამის ფარგლებში მომსახურების გაწევის შესახებ შეთანხმება სულ მცირე ერთ დაქვემდებარებულ საბიუჯეტო ორგანიზაციასთან.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი:

გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, შემუშავდა სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების 2025-2028 წლების სტრატეგიისა და 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმის პროექტები, რომელიც 2025 წლის პირველ კვარტალში წარედგინება საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად.

საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებულ იქნა (2024 წლის 13 ივნისის #852 განკარგულება) სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების შესახებ 2023 წლის კონსოლიდირებული წლიური ანგარიში;

რისკის მართვის პოლიტიკის დოკუმენტები შემუშავებულია თავდაცვის სამინისტროში, ფინანსთა სამინისტროსა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში. სხვა სამინისტროებში აღნიშნული მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა. რისკის მართვის პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების პროცესის მხარდასაჭერად, ჰარმონიზაციის ცენტრს შემუშავებული აქვს სანიმუშო რისკების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც შესაბამისობაშია სტანდარტებთან;

ჰარმონიზაციის ცენტრის კოორდინირებით, 10-მა ცენტრალურმა სამინისტრომ (ფინანსთა სამინისტრო; კულტურისა და სპორტის სამინისტრო; თავდაცვის სამინისტრო; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საგარეო საქმეთა სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო) გააფორმა საბიუჯეტო პროგრამის ფარგლებში მომსახურების გაწევის შესახებ შეთანხმებები დაქვემდებარებულ საბიუჯეტო ორგანიზაციებთან.

1.2 შიდა აუდიტის განვითარება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ჰარმონიზაციის ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი:

1. შიდა აუდიტორთა ეროვნული სერტიფიცირების პროგრამის ფარგლებში გადამზადებულია მინიმუმ 20 შიდა აუდიტორი.

2. განხორციელებულია 2 ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) აუდიტის პილოტური პროექტი.

3. განხორციელებულია 2 ეფექტიანობის აუდიტის პილოტური პროექტი.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი:

შიდა აუდიტორთა სერტიფიცირების პროგრამის ფარგლებში, OECD/SIGMA-სთან თანამშრომლობით, GIZ-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამისა და USAID-ის საჯარო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამების მხარდაჭერით, 2024 წელს, შიდა აუდიტორთა სერტიფიცირების პროგრამის ფარგლებში, ყველა მოდულში გადამზადდა 30 შიდა აუდიტორი. დამატებით, 20 შიდა აუდიტორს გავლილი აქვს სერტიფიცირების პროგრამის პირველი ორი მოდული (ოთხიდან);

მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით (ეკონომიკური მმართველობისა და ფისკალური ანგარიშვალდებულების პროგრამის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებული იყო ევროკავშირის მიერ), Ernst and Young-ის თურქეთისა და საქართველოს ოფისებთან თანამშრომლობით განხორციელდა ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) აუდიტის პილოტური პროექტები საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურში;

მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით (ეკონომიკური მმართველობისა და ფისკალური ანგარიშვალდებულების პროგრამის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებული იყო ევროკავშირის მიერ), Ernst and Young-ის თურქეთისა და საქართველოს ოფისებთან თანამშრომლობით განხორციელდა ეფექტიანობის აუდიტის პილოტური პროექტები შემდეგ უწყებებში: სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო; სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია; წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია.

VIII - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა

1. ანგარიშგებების პორტალის ეფექტური ფუნქციონირება

1.1 ანგარიშგებების პორტალის განვითარება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

რეფორმისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიმართულებით საწარმოთათვის განხორციელებული ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული აქტივობები (მათ შორის, საინფორმაციო ვიდეოები, ჩატარებული პრეზენტაციები, ტრენინგები, დამხმარე სახელმძღვანელოებისა და მასალების განთავსება ვებ-გვერდებსა და სოციალურ მედიაში);

ნათარგმნი და სამსახურის ვებგვერდზე განთავსებული განახლებული ფასს სტანდარტები;

ანგარიშგებების წარდგენის ჩანართის მეშვეობით (**Reportal.ge | SARAS**) გასაჯაროებული 70 000-ზე მეტი საწარმოს 2022 და 2023 წლის ანგარიშგება სამსახურის პორტალზე (**Reportal.ge**);

2024 წლის I-IV კვარტლის პროგრესი:

- სამსახურმა 14 მარტს და 25 აპრილს გამართა ონლაინ საინფორმაციო შეხვედრები III და IV კატეგორიის საწარმოებისთვის. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ანგარიშვალდებული პირებისთვის, ანგარიშგების პროცესის გამარტივება, იმ საკითხების განხილვისა და რეკომენდაციების გაცემის გზით, რომელიც მნიშვნელოვანი და ღირებული იქნება ხარისხიანი ანგარიშების მომზადებისთვის და ხელს შეუწყობს დროული წარდგენის დინამიკას. ღონისძიებაზე, სამსახურის წარმომადგენლებმა ისაუბრეს ანგარიშგების წარდგენის დროულობის მნიშვნელოვნებასა და პროცესზე, ხშირად დაშვებულ შეცდომებზე და სხვა, წარდგენის პროცესთან დაკავშირებულ, აქტუალურ საკითხებზე; https://www.saras.gov.ge/ka/News/Detail/2690
https://www.saras.gov.ge/ka/News/Detail/2700

- სამსახურმა საქართველოს ეროვნული ბანკისა და IFC-SBFN-ის მდგრადი დაფინანსების ფორუმის პანელურ დისკუსიაში მიიღო მონაწილეობა. ფორუმზე დისკუსიები გაიმართა მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს შემუშავების მიმართულებით არსებული გამოცდილების შესახებ. მონაწილეებმა ასევე განიხილეს ამ მიმართულებით არსებული უახლესი მოვლენები და გამოწვევები, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. გარდა ამისა, ისაუბრეს კერძო სექტორის პერსპექტივებზე მდგრად დაფინანსებასთან დაკავშირებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესახებ. ამ მიმართულებით მონაწილეებმა აუდიტორიას თავისი სამომავლო გეგმები და პროექტებიც გაუზიარეს; https://www.saras.gov.ge/ka/News/Detail/2689
- სამსახურის ვებგვერდზე გამოქვეყნდა, საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს შემდეგი ორი: ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობებისა და მიმოხილვის პრიორიტეტების დოკუმენტების გაერთიანებულ/განახლებულ ვერსიას. დოკუმენტში ასახულია სამსახურის მიერ 2023 წელს შერჩეული 2021-2022 წლების ფინანსური ანგარიშგებების ფასს სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვის პროცესში გამოვლენილი ძირითადი შეუსაბამობები და მითითებები შეუსაბამობების აღმოფხვრის გზებზე, რომელთა გათვალისწინებით საწარმოები უფრო მაღალი ხარისხის ფინანსური ანგარიშგებების წარდგენას შეძლებენ. ამასთანავე, აღწერილია, თუ რა კრიტერიუმებით შეარჩევს სამსახური სუბიექტების მიერ წარდგენილ და გასაჯაროებულ ფინანსურ ანგარიშგებებს, მათი მიმოხილვის მიზნით; https://www.saras.gov.ge/ka/News/Detail/2686
- 2024 წლის ივლისის თვეში სამსახურმა, სვის კონტაქტთან (Swisscontact) და პროფესიულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, საქართველოს მასშტაბით, საინფორმაციო შეხვედრები გამართა III და IV კატეგორიის საწარმოებისთვის. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ანგარიშვალდებული პირებისთვის, ანგარიშგების პროცესის გამარტივება, იმ საკითხების განხილვისა და რეკომენდაციების გაცემის გზით, რომელიც მნიშვნელოვანი და ღირებული იქნება ხარისხიანი ანგარიშების მომზადებისთვის და ხელს შეუწყობს დროული წარდგენის დინამიკას. შეხვედრებზე სამსახურის წარმომადგენლებმა ისაუბრეს ანგარიშგების წარდგენის დროულობის მნიშვნელოვნებასა და პროცესზე, ხშირად დაშვებულ შეცდომებზე და სხვა, წარდგენის პროცესთან დაკავშირებულ, აქტუალურ საკითხებზე. ანგარიშგების ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა შეხვედრები წინასწარი გამოკითხვის შედეგად გამოვლენილ ქალაქებში, ბათუმში, ზუგდიდში, ფოთში, ქუთაისში, სიღნაღსა და თბილისში გამართეს, რომელსაც ჯამში 500 - ზე მეტი საწარმოს წარმომადგენელი დაესწრო.
  19 სექტემბერს სამსახურმა დამატებით ჩაატარა აღნიშნული ღონისძიება ონლაინ ფორმატში, რომელსაც დაესწრო 150-მდე საწარმოს წარმომადგენელი;
  https://www.saras.gov.ge/ka/News/Detail/2721
  https://www.saras.gov.ge/ka/News/Detail/2722
- 2024 წლის 11 ნოემბერს სამსახურმა IFRS-თან თანამშრომლობითა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მერვედ გამართა ყოველწლიური ღონისძიება ონლაინ ფორმატში, რომლის მიზანს წარმოადგენდა დაინტერესებული მხარეებისთვის დროული და სიღრმისეული ინფორმაციის მიწოდება ბუღალტრული აღრიცხვის დარგში არსებულ სიახლეებთან და ცვლილებებთან დაკავშირებით. შეხვედრის მომხსენებელი იყო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) წევრი ძიენციაო ლუ, რომელმაც მონაწილეებს დეტალურად გააცნო ფასს სტანდარტებსა და მსს ფასს სტანდარტთან დაკავშირებულ ცვლილებები და სიახლეები;
  https://www.saras.gov.ge/ka/News/Detail/2728
- სამსახური მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს საბანკო ასოციაციასა და საბანკო სექტორს შეხვდა ევროკომისიის მიერ შემუშავებული კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივასთან (CSRD) და კორპორაციული მდგრადობის სტანდარტებთან (ESRS) დაკავშირებით. სამსახურისა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა შეხვედრაზე საქართველოს საბანკო სექტორისა და საქართველოს საბანკო ასოციაციის წარმომადგენლებს გააცნეს ევროკომისიის მიერ შემუშავებული

კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივის ზოგადი არსი და მოთხოვნები. სამსახური, დინამიური აპროქსიმაციის ფარგლებში, ევროკავშირის მოთხოვნებთან თანხვედრის უზრუნველსაყოფად, გეგმავს მუდმივად ითანამშრომლოს ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან და ექსპერტებთან. ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტების საქართველოში დანერგვა და მარეგულირებელი დირექტივის შესაბამისი შედეგების მიღწევა; https://www.saras.gov.ge/ka/News/Detail/2735

- სამსახურმა საინფორმაციო შეხვედრა გამართა ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვის პროცესსა და ფასს სტანდარტებთან მიმართებით ხშირად გამოვლენილ შეუსაბამობებთან დაკავშირებით. ღონისძიება განკუთვნილი იყო დაინტერესებული მხარეების, აუდიტორებისა და იმ საწარმოთა წარმომადგენლებისთვის, რომლებიც ანგარიშგებას ფასს სტანდარტებითა და მსს ფასს სტანდარტით ამზადებენ. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა მონაწილეთა ინფორმირება, ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობებისა და ხარისხიანი ფინანსური ანგარიშგების მახასიათებლების შესახებ.
  https://www.saras.gov.ge/ka/News/Detail/2736
- სამსახურის სოციალური ქსელების საშუალებით სუბიექტებისთვის გავრცელდა ანგარიშგების წარდგენის პროცესთან დაკავშირებული შემახსენებელი სახის და საინფორმაციო პოსტები.

სამოქმედოდ შემოღების მიზნით, საერთაშორისო სტანდარტების თარგმნასთან დაკავშირებით, განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- სამსახური ყოველწლიურად თარგმნის და სამოქმედოდ შემოაქვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების განახლებული გამოცემები. სამსახურმა სამოქმედოდ შემოიღო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს სტანდარტები) ლურჯი წიგნის 2024 წლის გამოცემა. ქართულ ენაზე თარგმნილი სტანდარტები სამსახურის ვებგვერდზეა განთავსებული და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.
  https://www.saras.gov.ge/ka/News/Detail/2697
- სამსახურმა „მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს“ განახლებული გამოცემა შეიმუშავა, რომელიც ფართო გამოყენების, სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტია, ეფუძნება უახლეს საერთაშორისო პრაქტიკას და არ წარმოშობს ახალ სამართლებრივ ვალდებულებებს. მიმდინარედ სამსახური ახორციელებს ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივის (CSRD) და მდგრადობის ანგარიშგების ევროპულ სტანდარტის (ESRS) თარგმნასა და სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებულ დინამიურ პროცესს. სახელმძღვანელო შემუშავდა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC) თანამშრომლობით, IFC-ის ევროპისა და ცენტრალური აზიის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის პროგრამის ფარგლებში, რომელიც შვეიცარიის ეკონომიკურ საქმეთა სამდივნოსთან SECO-სთან პარტნიორობით ხორციელდება.
  https://saras.gov.ge/ka/News/Detail/2724
- სამსახურმა თარგმნა და გამოაქვეყნა მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტების (European Sustainability Reporting Standards – ESRS) პირველადი პროექტი. ქართულ ენაზე წარმოდგენილია 12 სტანდარტი, აქედან 2 საერთო სტანდარტი (ESRS 1 და ESRS 2), ეხება ანგარიშგების მომზადების ზოგად პრინციპებს, ხოლო 10 თემატური სტანდარტი, მოიცავს გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით (ESG) საკითხებს. სამსახურთან, კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტის (ESRS) მაღალი ხარისხით თარგმნის, სისწორის, ტერმინთა შეთანხმებისა და სამოქმედოდ შემოღების უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც აერთიანებს წევრებს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორიდან. კომიტეტის მუშაობის ფარგლებში განხორციელდა სამსახურის მიერ თარგმნილი სტანდარტების განხილვა სფეროს სპეციალისტების მიერ და საჭიროებისამებრ მოხდა უკუკავშირის

გათვალისწინება.
https://www.saras.gov.ge/ka/News/Detail/2750

- აქვე, აღსანიშნავია, რომ სამსახურმა, მზღვეველებისთვის არსებული ციფრული ფორმების ფასს 17 სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად განახლების მიზნით, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურსა და წამყვან აუდიტორულ კომპანიებთან თანამშრომლობით შეიმუშავა ციფრული ფორმების განახლებული პროექტი. სამსახურმა ანალიტიკურ სამსახურთან თანამშრომლობის ფარგლებში, აღნიშნული პროექტი ანგარიშგებების პორტალზე სრულად ასახა და ხელმისაწვდომი გახდა სუბიექტებისთვის.
https://www.saras.gov.ge/ka/News/Detail/2696
- ასევე, სამსახურის მიერ განახლდა ანგარიშგების წარდგენის სისტემის ფუნქციონალები, რომელებიც ადმინისტრირების პროცესის ეფექტიანობას უწყობს ხელს. მათ შორის აღსანიშნავია მე-3 კატეგორიის საწარმოთა მიერ წარდგენილ ანგარიშგებებთან მიმართებით სისტემური კონტროლების ჩადება.
- კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტის (European Sustainability Reporting Standards (ESRS)) მაღალი ხარისხით თარგმნის სისწორის, ტერმინთა შეთანხმებისა და სამოქმედოდ შემოღების უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნა ექსპერტთა კომიტეტი, რომელიც აერთიანებს წევრებს, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორიდან. კომიტეტის მუშაობის ფარგლებში განხორციელდა სამსახურის მიერ თარგმნილი სტანდარტების განხილვა სფეროს სპეციალისტების მიერ და რედაქციული კორექტირება საჭიროებისამებრ.
- სამსახურის მიერ ითარგმნა და სამოქმედოდ იქნა შემოღებული აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ მიღებული და გამოცემული ხარისხის მართვის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო დოკუმენტების ცნობარით (2022 წლის გამოცემა) გათვალისწინებული ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი და აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტები. ასევე, ითარგმნა და სამოქმედოდ შემოღებულ იქნა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილი ეთიკის საერთაშორისო კოდექსის სახელმძღვანელო პროფესიონალი ბუღალტრებისთვის ეთიკის კოდექსი (IESBA Code) - 2023 წლის გამოცემა. ქართულ ენაზე თარგმნილი სტანდარტები სამსახურის ვებგვერდზე განთავსდა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ანგარიშგებების პორტალზე (www.reportal.ge) 2024 წლის I-IV კვარტალში, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე შემოწმდა და გასაჯაროვდა სდპ-ების, პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კატეგორიების საწარმოების/შესაბამისი ჯგუფების 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდზე, 8 984 საწარმოს 9 141 ანგარიშგება - მათ შორის - სდპ-ის 17, 1-ლი კატეგორიის საწარმოს/ჯგუფის - 59, მე-2 კატეგორიის საწარმოს/ჯგუფის - 215, მე-3 კატეგორიის საწარმოს/ჯგუფის - 714, მე-4 კატეგორიის საწარმოს/ჯგუფის - 8 136 ანგარიშგება.

2023 წლის საანგარიშგებო პერიოდზე კი, 78 416 საწარმოს 79 286 ანგარიშგება გასაჯაროვდა, მათ შორის - სდპ-ის - 119; 1-ლი კატეგორიის საწარმოს/ჯგუფის - 254; მე-2 კატეგორიის საწარმოს/ჯგუფის - 802; მე-3 კატეგორიის საწარმოს/ჯგუფის - 5 331; მე-4 კატეგორიის საწარმოს/ჯგუფის - 72 780 ანგარიშგება.

ჯამში, 2024 წელს გასაჯაროვდა 88 427 ანგარიშგება.

სამართლებრივი ჩარჩოს სრულყოფის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები:

- ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მიმართულებით პრაქტიკის დახვეწის მიზნით (ვალდებულებითი ნორმების აღსასრულებლად) მიღებულ იქნა „ბუღალტრული აღრიცხვის,

ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონი (N4206-XIVმს-Xმპ; 29/05/2024; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: www.matsne.gov.ge - 14/06/2024) და აღნიშნული კანონპროექტით, პრაქტიკის დახვეწის და რეფორმის აღსრულების (ანგარიშგების პორტალის განვითარების) მიზნით, განისაზღვრა შესაძლებლობა ანგარიშგების ვებგვერდის (www.reportal.ge) მეშვეობით წარდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტი ჩაბარებულად ჩაითვალოს გამოქვეყნების ფორმით (მას შემდეგ თუ სუბიექტების მხრიდან არ მოხდება ინფორმაცია/დოკუმენტაციის კანონით დადგენილი წესით გაცნობა) - საკანონმდებლო ცვლილებების აღსრულების მიზნით, შემუშავდა შესაბამისი ვებგვერდი/პროგრამული უზრუნველყოფა, სადაც განხორციელდება ჩაუბარებელი აქტების გასაჯაროვება.

- სამართლებრივი ჩარჩოს სრულყოფისა და დახვეწის მიზნებისთვის, „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“ სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის N6-6 ბრძანებაში 2024 წლის 10 ოქტომბერს განხორციელდა ცვლილება, რომელიც მოიცავს აქტში შინაარსობრივ და რედაქციულ ხასიათის შესწორებებს, რომლებიც განპირობებულია სამსახურის ფუნქციონირების განმავლობაში, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოვლენილი საჭიროებებით და სამსახურის მიზნით, სისრულეში მოიყვანოს საკანონმდებლო მოთხოვნები, როგორც შინაარსობრივი, ისე ტერმინოლოგიური თვალსაზრისით. ასევე შემუშავდა და განსახილველად გაეგზავნა საბჭოს/გამოქვეყნდა სამსახურის ვებგვერდზე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ სანქციის სახის/ოდენობის განსაზღვრისა და სანქციის დაკისრების წესის დამტკიცების თაობაზე“ სამსახურის უფროსის ბრძანების პროექტი, რომლის ამოქმედებას სამსახური გეგმავს უკუკავშირის შედეგების გათვალისწინებით, უმოკლეს ვადაში.
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, 2024 წლის მეოთხე კვარტალში ამოქმედდა სამსახურის უფროსის ბრძანება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურიდან საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“.
- მიმდინარეობს ეტაპობრივი (DIRECTIVE 2013/34/EU) და დინამიური (DIRECTIVE (EU) 2022/2464; DIRECTIVE (EU) 2021/2101) აპროქსიმაციის მიზნებისთვის შესამუშავებელი საკანონმდებლო ცვლილების პაკეტის მომზადება, რაშიც 2024 წლის სექტემბრიდან ჩართულია მსოფლიო ბანკი დონორის სტატუსით. 2024 წლის მეოთხე კვარტალში შეიქმნა კანონპროექტის პირველადი სამუშაო ვერსია და განსახილველად წარედგინა სამსახურის შიდა სტრუქტურულ ერთეულებს.
- საკანონმდებლო ცვლილების პროექტზე სამუშაო პროცესების კოორდინაციისა და შესაბამისი ანგარიშგების სტანდარტის (ESRS) სამოქმედოდ შემოღების უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურის უფროსის 2024 წლის 03 ოქტომბრის N645 ბრძანებით შეიქმნა CSRD დირექტივასთან დინამიური დაახლოებისთვის შესამუშავებელ სამართლებრივ აქტებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია საჯარო სექტორის წარმომადგენლებით.

2. ანგარიშგებების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (IFSR, IFRS for SMEs) შესაბამისობის მიმოხილვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: 40 ანგარიშგების დეტალური მიმოხილვა.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

2024 წლის I-IV კვარტლის პროგრესი: 2024 წლის I-IVკვარტალში სამსახურმა მიმოიხილა 40 საწარმოს ფინანსური ანგარიშება ფასს სტანდარტებთან (IFRS) შესაბამისობის შემოწმების მიზნით. მათ შორის, 39 საწარმოსთან გაიგზავნა შესაბამისი სანქცია - გაფრთხილების წერილი. ხოლო ერთი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში არ გამოვლინდა შეუსაბამობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან.

სამართლებრივი ჩარჩოს სრულყოფის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები:

- ვინაიდან 2024 წლის ივნისში მიღებულ იქნა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონი (N4206-XIVმს-Xმპ; 29/05/2024; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: www.matsne.gov.ge - 14/06/2024) და აღნიშნული კანონპროექტით განისაზღვრა რომ გამოქვეყნებული ანგარიშგებების კანონით დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვის წესს სამსახური შეიმუშავებს კანონის ამოქმედებიდან 8 თვის ვადაში (არაუგვიანეს 2025 წლის მარტი), სამსახურმა 2024 წლის განმავლობაში მოამზადა აღნიშნული კანონქვემდებარე აქტის პირველადი სამუშაო ვერსია.
- სამსახურის მიერ, ასევე შემუშავდა და განსახილველად გაეგზავნა საბჭოს/გამოქვეყნდა სამსახურის ვებგვერდზე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ სანქციის სახის/ოდენობის განსაზღვრისა და სანქციის დაკისრების წესის დამტკიცების თაობაზე“ სამსახურის უფროსის ბრძანების პროექტი, რომლის ამოქმედებას სამსახური გეგმავს უკუკავშირის შედეგების გათვალისწინებით, უახლოეს მომავალში.

3. აუდიტორული მომსახურების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა

3.1 აუდიტორული მომსახურების ხარისხის ზრდა; სამართლებრივი ჩარჩოს სრულყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: 36 აუდიტორული ფირმისთვის ჩატარებული ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი.

2024 წლის I-IV კვარტლის პროგრესი: „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, სდპ ფირმების მონიტორინგი ტარდება საშუალოდ 3 წელიწადში ერთხელ, ხოლო არა-სდპ ფირმების მონიტორინგი ტარდება საშუალოდ 6 წელიწადში ერთხელ. 2024 წლის I-IV კვარტალში სულ ჩატარდა 41 ფირმის მონიტორინგი აუდიტიდან შემოსავლების მქონე 34 და აუდიტიდან შემოსავლების არმქონე 7 ფირმის მონიტორინგი.

სამართლებრივი ჩარჩოს სრულყოფის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები:

- ვინაიდან მიღებულ იქნა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონი (N4206-XIVმს-Xმპ; 29/05/2024; გამოქვეყნების წყარო, თარიღი: www.matsne.gov.ge - 14/06/2024) და აღნიშნული კანონპროექტით სფეროს მარეგულირებელი ნორმები დაახლოვდა ევროკავშირის რეგულაციასთან, განისაზღვრა არააუდიტორული მომსახურების გაწევის აკრძალვასთან დაკავშირებული მარეგულირებელი ჩარჩო და ასევე, რადგან სდპ აუდიტორულ ფირმებს დაევალათ გამჭვირვალობის შესახებ წლიური ანგარიშის გასაჯაროება - სამსახურში მიმდინარეობს ახლადმიღებული კანონიდან გამომდინარე შესამუშავებელი

აქტების პროექტებზე მუშაობა. საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე შემუშავდა და 2024 წლის დეკემბერში ამოქმედდა ,,ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხისა და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესის განსაზღვრის თაობაზე" სამსახურის უფროსის 2016 წლის 28 ოქტომბრის N17 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" სამსახურის უფროსის ბრძანების პროექტი.

- ასევე, თემატური ხასიათის ცვლილებები შევიდა „ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ" სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის №ნ-9 ბრძანებასა და „პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტისა და სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ" სამსახურის (SARAS) უფროსის 2017 წლის 25 სექტემბრის №ნ-16 ბრძანებაში.
- სამსახურის მიერ, ასევე შემუშავდა და განსახილველად გაეგზავნა საბჭოს/გამოქვეყნდა სამსახურის ვებგვერდზე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ სანქციის სახის/ოდენობის განსაზღვრისა და სანქციის დაკისრების წესის დამტკიცების თაობაზე" სამსახურის უფროსის ბრძანების პროექტი, რომლის ამოქმედებას სამსახური გეგმავს უკუკავშირის შედეგების გათვალისწინებით, უმოკლეს ვადაში.
- მიმდინარეობს ეტაპობრივი (DIRECTIVE 2006/43/EU) და დინამიური (DIRECTIVE (EU) 2022/2464; აპროქსიმაციის მიზნებისთვის შესამუშავებელი საკანონმდებლო ცვლილების პაკეტის მომზადება, რაშიც 2024 წლის სექტემბრიდან ჩართულია მსოფლიო ბანკი დონორის სტატუსით. 2024 წლის მეოთხე კვარტალში შეიქმნა კანონპროექტის პირველადი სამუშაო ვერსია და განსახილველად წარედგინა სამსახურის შიდა სტრუქტურულ ერთეულებს.

3.2. კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების შემოწმება (მოკვლევა)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: 3 აუდიტორული ფირმის/აუდიტორის მოკვლევა კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

2024 წლის I-IV კვარტლის პროგრესი: ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს აუდიტორების/აუდიტორული ფირმების მიმართ მოკვლევის განხორციელება, რომელიც ემსახურება აუდიტორების/აუდიტორული ფირმების სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენას, რეესტრში ინფორმაციების სისწორის გადამოწმების კონტროლს. სამსახურის მიზანია მოკვლევის საშუალებით სამართალდარღვევათა გამოვლენა, აუდიტის ხარისხთან დაკავშირებით სამსახურში შემოსულ საჩივრებზე რეაგირების (მოკვლევის) სისტემის გამართვა (მესამე პირთა უფლებათა დასაცავად) და სამართალდარღვევათა/რისკების პრევენცია. ეფექტური მოკვლევის განხორციელების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, სამსახურს შეუძლია სასამართლოს განჩინების საფუძველზე განახორციელოს პირის ადგილზე შემოწმებაც, რაც უფრო ეფექტური საშუალებაა საქმის წარმოებისა და სამართალდარღვევათა გამოვლენის თვალსაზრისით. 2024 წლის I-IV კვარტალში მოკვლევა ჩაუტარდა 9 ფირმას.

4. ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების ზედამხედველობა

4.1. ანგარიშვალდებულ პირთა რეესტრის წარმოება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: სამსახური რეესტრების მართვას ახორციელებს სამართლებრივი ჩარჩოს შესაბამისად. რეფორმის მიმდინარეობისას წარმოშობილი საჭიროების შესაბამისად სარეგისტრაციო წარმოების პროცესი დახვეწილია/განვითარებულია.

2024 წლის I-IV კვარტლის პროგრესი:

პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების რეესტრში 2024 წლის განმავლობაში დარეგისტრირდა 70 პირი (სულ — 283), ხოლო საბუღალტრო ფირმების რეესტრში დარეგისტრირდა 40 პირი (სულ — 284).

განხორციელდა რეესტრებში ანგარიშვალდებული პირის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების ელექტრონული წარდგენის პროგრამული უზრუნველყოფა.

4.2. სამართლებრივი ჩარჩოს სრულყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

გამოცემულია კანონქვემდებარე აქტები რომლებიც ფარავს პრევენციული ღონისძიებების, რისკების შეფასებისა და მართვის, შესაბამისობის კონტროლის სისტემის, საზედამხედველო ორგანოს მიმართ ანგარიშვალდებულებისა და ინსპექციებისა და აღსრულების საკითხებს.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი.

2024 წლის I-IV კვარტლის პროგრესი: „ანგარიშვალდებული პირის მიერ შესაბამისობის კონტროლის სისტემის დანერგვის თაობაზე“, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასებისა და მართვის სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე“ და „ანგარიშვალდებული პირის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების ფორმების შევსებისა და წარდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ კანონქვემდებარე აქტები შევიდა ძალაში.

4.3. ანგარიშვალდებულ პირთა წრის ცნობიერების ამაღლება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: გამოცემულ სამართლებრივი აქტების მიმართულებით ანგარიშვალდებული პირებისთვის ჩატარებულია ცნობიერების ამაღლების პრეზენტაციები, პროფესიაში, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლისა და 13[1] მუხლის ფარგლებში, ჩატარებულია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების სულ მცირე სამი (3) სასწავლო კურსი/ტრენინგი

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი.

2024 წლის I-IV კვარტლის პროგრესი: 22 ნოემბერსა და 26 დეკემბერს სამსახურმა ჩაატარა ონლაინ ღონისძიებები ახალ კანონქვემდებარე აქტებთან „ანგარიშვალდებული პირის მიერ შესაბამისობის კონტროლის სისტემის დანერგვის წესისა“ და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასებისა და მართვის სახელმძღვანელოს“ თაობაზე, რომლებსაც დაესწრო 300-ზე მეტი დაინტერესებული პირი.

IX - ინფორმაციული ტექნოლოგიები

1. საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის მხარდაჭერა და განვითარება

1.1 eBudget - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: საინვესტიციო პროექტების შეფასების სისტემის დასრულებული იტერაციის გაშვება რეალურ გარემოში და შემდგომი იტერაციის შესაბამისი ფუნქციონალის შექმნა; პროგრამული ბიუჯეტის ფუნქციონალის გადაკეთება-მორგება ახალ მოთხოვნებთან და შესაბამისი ანგარიშგების დოკუმენტების შექმნა; ბიუჯეტიდან ბიუჯეტზე კონკრეტული დაფინანსების წყაროში თანხის გადატანის ფუნქციონალის შექმნა; კანონში ცვლილების მოდელირების ფუნქციონალის შექმნა; დინამიური ანგარიშგების ფუნქციონალის განზოგადება სხვადასხვა მოდულებზე; მიმდინარე ამოცანების ფარგლებში სისტემის ფუნქციონალისა და შესაბამისი მოდულების მოდერნიზება ან ახლის დამატება.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: სსიპებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების მართვის სისტემისთვის დაკონფიგურირდა სამუშაო გარემო 2024 წლისასთვის;

ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემისთვის დაკონფიგურირდა 2025 წლის სამუშაო გარემო; სისტემას დაემატა ახალი ანგარიშგების დოკუმენტები; სისტემას დაემატა ახალი ორგანიზაციული კოდის ტიპები; სისტემაში განხორციელდა 31 შესწორება.

1.2 eTreasury - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: წინა წლებში გადახდილი თანხების მიმდინარე წელს დაბრუნების პროცესის დახვეწა; ღია პაკეტების ავტომატური დახურვის პროცესის დამატება; SWIFT-ის კონვერტაციის საბუთის ავტომატური მიღება და SWIFT-ში სავალუტო დავალებების ავტომატური გაგზავნა ავტოკლიენტის საშუალებით; ხაზინის მთავარ წიგნში კონვერტაციების და სავალუტო მოთხოვნების საბუღალტრო გატარებების ფუნქციონალის დახვეწა; ხაზინის მთავარი წიგნის ოპტიმიზაცია; მიმდინარე ამოცანების ფარგლებში სისტემის ფუნქციონალისა და შესაბამისი მოდულების მოდერნიზება ან ახლის დამატება.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: დაემატა შემოსავლების სამსახურიდან სახაზინო კოდებზე გადასახადის (დღგ-ს) დაბრუნების დავალებების ავტომატურად მიღბის, შემოსავლების სამსახურს გადასახადების ოდენობის და სარეზერვო ქვეანგარიშის ნაშთის ავტომატური გადაცემა, CPV კოდების ვერსიების,

პაკეტების ბუღალტერიის ასინქრონულად დამუშავების და ხაზინის ელექტრონული სისტემის მომხმარებლების პაროლების სირთულის კონტროლის და პერიოდულად ცვლილების ფუნქციონალები; დაიხვეწა მწვანე დერეფნის, სააღსრულებლო ფურცლების, SWIFT-ის ჩარიცხვების, მიზნობრივი გრანტების კონვერტაციის, სსიპ/ა(ა)იპ/სახელმწიფო საწარმოების მოდულების, პრემია-დანამატის გაცემის, უწყისების, კონფიდენციალური მოთხოვნების, მივლინების და ქეშის ანგარიშების ფუნქციონალები; მხარჯავების პორტალის ვალდებულების, კონვერტაციის მოთხოვნის ფორმებს და ანგარიშგებებს „გადარიცხული საგადახდო მოთხოვნები“, „ვალდებულების შესრულება ეკონომიკური კოდების მიხედვით“, „ანგარიშის დეტალური ბრუნვა“, „ანგარიშეს ბრუნვა პერიოდის მიხედვით“, „ანგარიშების ბალანსი“, „ანგარიშის ჯამური ბრუნვა“, „უწყისის რეპორტი დეტალური“, „ვალდებულებების შესრულების შესახებ (პერიოდების მიხედვით)“ და „თანამშრომელთა დაშვებების რეპორტი“ დაიხვეწა ლოგიკა და დაემატა ველები; დაემატა საგადახდო დავალების ინგლისურევოვანი საბეჭდი ფორმა და ანგარიშგებები „უწყისის რეპორტი დეტალური (2)“, „გადარიცხული საგადახდო მოთხოვნები (საფუძვლის თანხის ოდენობით)“, „დარიცხული თანხების, დარიცხული და გადახდილი საშემოსავლო გადასახადის რეესტრი”; ბექ ოფისს დაემატა ანგარიშგებები: „გადარიცხული საგადახდო მოთხოვნები (CPV კოდებით)“; „სსიპ-ების ბალანსის რეპორტი“, „გადარიცხული პაკეტები (დეტალური)“, დეპოზიტორების “ანგარიშგება N8”, დაიხვეწა ვალდებულების, ღია პაკეტების SWIFT-ის ტრანზაქციების და დეპოზიტორების მოდულის ფორმები, შემოსავლების მოდულის იურიდიული და ფიზიკური პირების ოპერაციები, რეპორტები „ანგარიშის ბრუნვა“, “ინფორმაცია მიზნობრივი გრანტის შემოსავლებისა და ხარჯვის შესახებ”; ბუღალტერიის მოდულში სახელფასო და ინვოისის ოპერაციებში დაემატა ბიუჯეტის ტიპი, ინვოისებში და დამოუკიდებელ მოდულში დაემატა ვალიდაციები; შეიცვალა შემოსავლების სამსახურთან ინფორმაციის მიმოცვლის სერვისები (RevenueDayClosureService, RevenueOperationalService).

1.3 eDMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: გამოსყიდვებისა და გაცვლების ფუნქციონალის დანერგვა რეალურ გარემოში და საშინაო ვალის ანგარიშგების დოკუმენტებში მათი გათვალისწინება; DMNAT სისტემის სრული ფუნქციონალის, ანგარიშგების დოკუმენტების ინტეგრირება eDMS სისტემაში; ჩამორიცხვების ფუნქციონალის სრულყოფა; პროექტებზე გეგმიური და ფაქტიური ინფორმაციის წამოღების ავტომატიზაცია ბიუჯეტისა და ხაზინის სისტემებიდან და ანგარიშგების შესაბამისი დოკუმენტების შექმნა; მიმდინარე ამოცანების ფარგლებში სისტემის ფუნქციონალისა და შესაბამისი მოდულების მოდერნიზება ან ახლის დამატება.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ჩატარდა საშინაო და საგარეო ვალების ანგარიშგების დოკუმენტების სრულყოფის სამუშაოები, ასევე ცვლილება შევიდა და რეალურ გარემოში ჩაეშვა სფეროების დავალება. შესრულდა და ტესტირების რეჟიმშია გამოსყიდვების და გაცვლების დავალება; სისტემაში განხორციელდა 217 შესწორება.

1.4 eHRMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: პროფესიული განვითარების მოდულის ფუნქციონალების მოდერნიზება და განვითარება ახალი მოთხოვნების შესაბამისად, სტატისიკური რეპორტის განახლება და ახალი რეპორტების დამატება. სისტემაში ახალი პროფესიული განვითარების შედეგების კითხვარის მოდულის იმპლემენტაცია. eHRMS სისტემის ინტეგრირება ტრენინგების ელექტრონულ სისტემასთან, კერძოდ შესაბამისი ტექნიკური გადაწყვეტები და სრული ციკლის მხარდაჭერა. სისტემაში ახალი მოთხოვნების რეალიზება და მომხმარებელთა მუდმივი მხარდაჭერა; საჯარო ორგანიზაციებში სისტემის დანერგვის პროცესის გაგრძელება.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: პროფესიული განვითარების მოდულში განხორციელდა წლიური გეგმის ფუნქციონალის ცვლილება, კერძოდ ფორმაზე დაემატა ცალკეული თანამშრომლ(ებ)ის დამატების ფუნქციონალი. ასევე, წლიური სასწავლო გეგმების ავტომატური გენერაციის ფუნქციონალში განახლდა თანამშრომლების კომპონენტის ნაწილი. სისტემის დასწრების ტაბელში განხორციელდა ცვლილებები მოთხოვნების შესაბამისად.

სისტემაში დაემატა ახალი მოდული: პროფესიული განვითრების პროგრამების შედეგიანობის შეფასება.

ცვლილება შევიდა ცალკეული სტატიკური რეპორტების ლოგიკაში დაემატა ახალი რეპორტები სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს მოთხოვნით.

დანიშვნის ფორმაზე დაემატა ფუნქციონალი „გენდერზე პასუხისმგებელი პირის“ დასაიდენტიფიცირებლად.

სისტემაში თანამდებობის მოდულში კერძოდ პროფესიული საჯარო მოხელის ტიპის განსაზღვრის დროს დაემატა ახალი ლოგიკა და ვალიდაციები.

სისტემაში თანამშრომლის დანიშვნის ნაწილში დაემატა ახალი ფუნქციონალი, რომელიც მოქმედია იმ შემთხვევაში თუ პიროვნება eHRMS სისტემაში გათავისუფლებულია თანამდებობიდან "დისციპლინარული გადაცდომის საფუძველზე".

დამატებით, მიმდინარეობს ახალი მოთხოვნები/შემთხვევევის იდენტიფიცირება, ანალიზი და მათი ტექნიკური გადაწყვეტის სამუშაოები.

1.5 ფინანსთა სამინისტროს ICT-ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და მისი სტრუქტურული ერთეულების IT ინფრასტრუქტურის ეფექტიანი გამართული ფუნქციონირება, ბიზნეს-უწყვეტობის უზრუნველყოფა, განვითარება და ტექნიკური მხარდაჭერა.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: განხორციელდა Trellix IVX სისტემის ინსტალაცია, ინტეგრაცია.

განხორციელდა უსადენო ქსელური დაშვების უსაფრთხოების სისტემის dot1x დანერგვა.

განხორციელდა მეილსერვერის უსაფრთხოების სისტემის ინსტალაცია-ინტერგაცია.

განხორციელდა ქსელური დაშვების უსაფრთხოების სისტემის ISE განახლება/მიგრაცია.

განხორციელდა ePassport-ის მონაცემთა ბაზიდან მონაცემების არქივის ბაზებში გადატანა.

განხორციელდა LTM და ASM სისტემებზე არსებული აპლიკაციების ინტეგრაცია.

განხორციელდა ვებ აპლიკაციის ფაერვოლზე (WAF) ზე ვებ-გვერდების მიგრაცია.

განხორციელდა DWDM ოპტიკური სვიჩის ინსტალაცია, CSM სისტემის ინსტალაცია, (EX, IVX) Anty-Spam-ის მოდულთან ინტეგრაცია, დოკუმენტბრუნვის სისტემების მონაცემების არქივაცია.

დანართი: საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2024 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვა

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2024 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვა

#	მიმართულება/ღონისძიება	დაფინანსების მთლიანი მოცულობა/დაფინანსების წყარო (ლარი); პროგრამული კოდი და დასახელება
	I - ბიუჯეტირება	23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა; 2305 - საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება
		3,830,000
1	ბიუჯეტის მართვის სრულყოფა	3,630,000
1.1	წლიური ბიუჯეტის კანონის შემუშავება	450,000
1.2	საშუალოვადიანი დაგეგმვის ეფექტურობის გაზრდა (MTEF)	450,000
1.3	პროგრამული ბიუჯეტის გაუმჯობესების ხელშეწყობა სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე	500,000
1.4	პროგრამების ეფექტიანობის შეფასება (Spending Review)	250,000
1.5	საბიუჯეტო დოკუმენტაციის ფისკალური მართვის პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა	200,000
1.6	საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ერთიანი ციკლის ჩამოყალიბება	700,000
1.7	წლიური და კვარტალური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება, მაკონტროლებლის წინაშე ანგარიშვალდებულების გაძლიერება	400,000
1.8	საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა	230,000
1.9	მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესება	400,000
1.10	საბიუჯეტო პროცესის მხარდაჭერა შესაბამისი კანონმდებლობის სრულყოფით	50,000

1.11	სტრატეგიული/სექტორული პოლიტიკის დოკუმენტებსა ბიუჯეტს შორის კავშირის გაძლიერება	200,000
	II - მთავრობის ვალის მართვა	**23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა** **4,015,000**
1	მთავრობის ვალის მართვის საშუალოვადიანი სტრატეგიის განახლება	1,430,000
2	**მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება**	**2,585,000**
2.1	ვალდებულებების მართვის ოპერაციების ფარგლებში ახალი ინსტრუმენტების დანერგვა	1,000,000
2.2	პირველადი დილერების საპილოტე პროგრამის გაფართოება	900,000
2.3	მთავრობის ვალის მართვის ანგარიშის მომზადება	685,000
	III - აღრიცხვა და ანგარიშგება	**23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა** **3,407,500**
1	**დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების დანერგვა**	**1,450,000**
1.1	IPSAS სტანდარტების მოთხოვნებთან და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობის მიზნით, საჯარო სექტორში აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების დახვეწა და გაუმჯობესება	100,000
1.2	დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული IPSAS სტანდარტების დამატებით შემოღება საჯარო სექტორში	200,000
1.3	საჯარო სექტორის ბუღალტრებისთვის სამუშაო შეხვედრების, სემინარების, ტრენინგების და ა.შ გამართვა	900,000
1.4	მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების საფუძველზე	250,000
2	**სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის (PFMS) განვითარება**	**1,957,500**
2.1	სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში (PFMS) ხაზინის ელექტრონული სისტემის (E-treasury) ფუნქციონალების შემუშავება/განვითარება და არსებული ბიზნეს-პროცესების დახვეწა/გამარტივება	300,000
2.2	საჯარო სკოლების და საბავშვო ბაღების ინტეგრირება სახელმწიფო მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში (PFMS)	800,000
2.3	სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ინტეგრირება სახელმწიფო მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში (PFMS)	200,000
2.4	სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლების გადამზადება ხაზინის ელექტრონული სისტემის (E-treasury) გამოყენებასთან/ცვლილებებთან დაკავშირებით	478,750

2.5	სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების წარმომადგენლების გადამზადება ხაზინის ელექტრონული სისტემის (E-treasury) გამოყენებასთან/ცვლილებებთან დაკავშირებით	178,750
	IV - საგადასახადო და საბაჟო საკითხები	**23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა** **23 02 - შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუჯობესება** **20,937,000**
1	**საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება**	**2,600,000**
1.1	ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზება	500,000
1.2	საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა	500,000
1.3	საბაჟო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა	500,000
1.4	საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა	1,100,000
2	**კანონთან შესაბამისობის სფეროში არსებული საგადასახადო რისკების მართვის პროცესის გაძლიერება**	**7,830,000**
2.1	კანონშესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიზნობრივი ღონისძიებების განხორციელება	5,480,000
2.2	მონაცემთა საცავის (Data Warehouse) მხარდაჭერა და განვითარება	955,000
2.3	გადასახადის გადამხდელის ქცევის რეიტინგის განსაზღვრა	90,000
2.4	სუბიექტის ლიკვიდაცია/რეორგანიზაციისას შემოსავლების სამსახურში არსებული პროცესების მოდერნიზაცია	620,000
2.5	პირველადი საგადასახადო დოკუმენტების მოდერნიზაცია	145,000
2.6	საქართველოს მოქალაქეობის არმქონე და ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთა საგადასახადო რეგისტრაციის და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში თანხის გადახდის პროცედურების გაუმჯობესება	540,000
3	**საბაჟო რისკების მართვისა და წინასწარი ინფორმაციის გაცვლის სისტემის განვითარება**	**1,095,000**
3.1	საბაჟო რისკების მართვის სისტემის მოდერნიზაცია	435,000
3.2	საბაჟო ინფორმაციის გაცვლის სისტემის დანერგვა	160,000
3.3	eTIR სისტემის დანერგვა	500,000
4	**საგადასახადო დავალიანების მართვის სისტემის გაუმჯობესება**	**1,100,000**
4.1	ვალის მართვის 2022-2024 წლების სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება	1,100,000
5	**დაინტერესებულ პირთა საჭიროებაზე მორგებული სერვისების განვითარება**	**3,835,000**
5.1	უკუკავშირის სისტემის დანერგვა	295,000
5.2	სამსახურის სერვისების ბიზნესის პროცესების ოპტიმიზაციისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის მექანიზმების შემუშავება	785,000

5.3	ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის სტრუქტურისა და დიზაინის ცვლილება	900,000
5.4	გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე შეღავათის უფლებით მოსარგებლე ფიზიკური პირებისთვის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების პროცედურის გამარტივება	755,000
5.5	საკონსულტაციო და საინფორმაციო სამმართველოს სატელეფონო ცენტრის ტექნიკური გადაიარაღება	1,100,000
6	**საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების გაუმჯობესება**	**1,800,000**
6.1	შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის (გასს) მოდერნიზაცია	950,000
6.2	საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრში IT პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დანერგვა	850,000
7	**ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა**	**102,000**
7.1	ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის განახლება	51,000
7.2	მონაცემთა დაკარგვის პრევენციის გადაწყვეტილების დანერგვა	51,000
8	**ორგანიზაციული რისკების მართვის სისტემის განვითარება**	**1,930,000**
8.1	ოპერაციული რისკების სისტემის დანერგვა	1,930,000
9	**ევროკავშირთან ინტეგრაციული პროცესების მხარდაჭერა**	**645,000**
9.1	ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS) საერთაშორისო დონეზე დანერგვა	485,000
9.2	ევროკავშირის საგადასახადო და საბაჟო პროგრამაში ჩართულობა	160,000

	V - მაკროეკონომიკური ანალიზი და ფისკალური პოლიტიკა	**23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა**
		2,100,000
1	**მაკროეკონომიკური პროგნოზირების და ანალიზის გაუმჯობესება**	**1,130,000**
1.1	კვარტალური პროგნოზირების მოდელის შემუშავება	100,000
1.2	მაკროეკონომიკური პროგნოზების ანალიზის გაუმჯობესება და ანალიტიკური ინფორმაციის გაზრდა	160,000
1.3	ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტენდენციების შესახებ ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება	120,000
1.4	მაკროეკონომიკური კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნებ	65,000
1.5	ეკონომიკის განვითარებაზე მოქმედი შოკების ანალიზი, სცენარების შედგენა და მაკროეკონომიკური რისკების შეფასება	150,000
1.6	სტრეს-ტესტების ანალიზი	110,000
1.7	საშუალოვადიანი ფისკალური პოლიტიკის შემუშავება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება	110,000
1.8	სოციალურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების შეფასებასა და სტრატეგიების შემუშავებაში მონაწილეობა მაკროეკონომკური პროგნოზირების კუთხით	105,000

1.9	ქვეყნის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესების მიზნით სტრატეგიის დამუშავების კოორდინაცია და საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან ურთიერთობის კოორდინაცია	100,000
1.10	საგადასახადო დანახარჯების შესაფასებლად მონაცემების დამუშავება და ანალიზი, შეფასების არეალის გაზრდა	110,000
2	**შემოსავლების პროგნოზირების და ანალიზის გაუმჯობესება**	**970,000**
2.1	ერთიანი და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების მომზადება, ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების არსებული მეთოდოლოგიის დახვეწა და ალტერნატიული მეთოდოლოგიის შემუშავება	600,000
2.2	სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სამუშაოთა ორგანიზება და მონაცემთა გავრცელება ქვეყანაში მიღებული სტატისტიკური მეთოდოლოგიით და საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციათა გათვალისწინებით. ევროპული აღრიცხვის სტანდარტის (ESA) და ევროპის სტატისტიკური სტრუქტურების მუშაობის სპეციფიკის გაცნობა და ამ მიმართულებებით ადამიანური შესაძლებლობების და ცნობიერების ამაღლება	370,000
	VI - ფისკალური რისკები	**23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა**
		770,000
1	სახელმწიფო საწარმოთა შესახებ ყოვლისმომცველი სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება	208,000
2	სახელმწიფო საწარმოთა აქციონერის როლის პილოტირება საქართველოს ფინანსთა სამინისტროში	168, 000
3	ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტის მომზადება	265,000
4	სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური ზედამხედველობა	129, 000
	VII - სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარება	**23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა**
		660,000
1	**სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარება**	**660,000**
1.1	ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის განვითარება	460,000
1.2	შიდა აუდიტის განვითარება	200,000
	VIII - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა	**23 06 - ბუღალტრული, აღრიცხვის ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობა**
	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა	**2,071,000**
1	ანგარიშგებების პორტალის ეფექტური ფუნქციონირება	301,000

1.1	ანგარიშგებების პორტალის განვითარება	301,000
2	**ანგარიშგებების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა**	340,000
2.1	ანგარიშგებების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (IFSR, IFRS for SMEs) შესაბამისობის მიმოხილვა	340,000
3	**აუდიტორული მომსახურების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა**	**1,100,000**
3.1	აუდიტორული მომსახურების ხარისხის ზრდა; სამართლებრივი ჩარჩოს სრულყოფა	550,000
3.2	კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების შემოწმება (მოკვლევა)	550,000
4	**ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების ზედამხედველობა**	**330,000**
4.1	ანგარიშვალდებულ პირთა რეესტრის წარმოება	110,000
4.2	სამართლებრივი ჩარჩოს სრულყოფა	110,000
4.3	ანგარიშვალდებულ პირთა წრის ცნობიერების ამაღლება	110,000
	IX - ინფორმაციული ტექნოლოგიები	**23 04 - ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა**
		4,971,841
1	**საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის მხარდაჭერა და განვითარება**	4,971,841
1.1	eBudget - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება	598,839
1.2	eTreasury - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება	1,713,388
1.3	eDMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება	331,747
1.4	eHRMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება	724,936
1.5	ფინანსთა სამინისტროს ICT-ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველყოფა	1,602,931